# საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის

# 2020 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

მაისი 2021 წელი

## სარჩევი

**მოკლე შეჯამება....4**

**საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები....5**

**სტრატეგიული მიმართულება 1: აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება....8**

ღონისძიება 1.1 ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა....8

ღონისძიება 1.2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება და მიწათსარგებლობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა....12

ღონისძიება 1.3 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გამლიერების შესაბამისი პირობების შექმნა/განვითარება....13

ღონისძიება 1.4 სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება....17

ღონისძიება 1.5 სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა....18

ღონისძიება 1.6 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება....22

**სტრატეგიული მიმართულება 3: მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება....29**

ღონისძიება 3.1 სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება....29

ღონისძიება 3.2 ნიადაგების რაციონალური გამოყენება....34

**სტრატეგიული მიმართულება 4: რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა....36**

ღონისძიება 4.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი....37

ღონისძიება 4.2 ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემების განვითარების მხარდაჭერა....40

ღონისძიება 4.3 მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა(შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა)....42

ღონისძიება 4.4 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება....46

**სტრატეგიული მიმართულება 5: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა....54**

ღონისძიება 5.1 სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი....54

**სტრატეგიული მიმართულება 6: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა....55**

ღონისძიება 6.1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოება საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით....55

ღონისძიება 6.2 ვეტერინარია....62

ღონისძიება 6.3 მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა....65

ღონისძიება 6.4 ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება....68

**სტრატეგიული მიმართულება 7: კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება....70**

ღონისძიება 7.1 აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა....71

ღონისძიება 7.2 კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა....75

# მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის №167 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს, ძირითადი საშუალოვადიანი სტრატეგიული მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება:

- აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება
- ინსტიტუციური განვითარება
- მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება
- რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა
- კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

2020 წლისთვის სამოქმედო გეგმის პროგრამებს განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო ბიუჯეტი **286,963,400** ლარის ოდენობით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების განხორციელებისთვის საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა **266,695,100** ლარი. შესაბამისად, 2020 წელს, ბიუჯეტის ათვისებამ დაგეგმილთან შედარებით შეადგინა 93%.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო 37 პროგრამის შესრულება.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2020 წლის პროგრამების შესრულების შესახებ.

## საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები

| სტრატეგიული მიმართულება | ღონისძიება | პროგრამების რაოდენობა | 2019 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1. აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება | 1.1 ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა | 2 | 0 | 0 |
| | 1.2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება და მიწათსარგებლობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა | 1 | 300,000 | 214,600 |
| | 1.3. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი პირობების შექმნა/განვითარება | 2 | 77,245,400 | 95,203,400 |
| | 1.4. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება | 1 | 8,000,000 | 8,000,000 |
| | 1.5. სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა | 2 | 4,593,000 | 4,157,400 |
| | 1.6. ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება | 5 | 9,591,000 | 8,109,700 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება | 3.1 სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება | 2 | 51,150,000 | 36,668,900 |
| | 3.2 ნიადაგების რაციონალური გამოყენება | 1 | 89,000 | 61,400 |
| 4. რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულებისშე მქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა | 4.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი | 3 | 4,500,000 | 4,323,900 |
| | 4.2 ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემების განვითარების მხარდაჭერა | 1 | 50,000 | 10,500 |
| | 4.3 მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა) | 2 | 12,250,000 | 9,243,300 |
| | 4.4 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება | 4 | 72,550,000 | 63,074,700 |
| 5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 5.1 სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი | 1 | 0 | 0 |
| 6. სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა | 6.1 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირის შესაბამის | 2 | 9,591,000 | 8,109,700 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოება საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით | | | |
| | 6.2 ვეტერინარია | 2 | 9,850,000 | 9,296,000 |
| | 6.3 მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა | 2 | 14,690,000 | 10,790,000 |
| | 6.4 ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება | 1 | 7,215,000 | 6,163,700 |
| 7. კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება | 7.1 აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა | 2 | 3,940,000 | 3,945,700 |
| | 7.2 კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა | 1 | 9,800,000 | 6,661,000 |

## სტრატეგიული მიმართულება 1: აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება

სტრატეგიული მიმართულება აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება აერთიანებს 6 ღონისძიებას და ჯამში 13 პროგრამას. ღონისძიებები ძირითადად მოიცავს ფერმერთა ცოდნის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების, ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობ პროგრამებს.

სტრატეგიული მიმართულების ჯამური ბიუჯეტი განისაზღვრა **99,729,400** ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია **115,685,100** ლარი.

### ღონისძიება 1.1 ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა

1.1 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ორი პროგრამა (აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის დონის ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა) განხორციელდა.

ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების განხორციელება ცალკე დამტკიცებულ ბიუჯეტს არ საჭიროებდა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **ჩატარდა 3 საველე დღე;**
- ⇒ **საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 6,763 ფერმერს;**
- ⇒ **ჩატარდა 150-მდე თემატური სემინარ-ტრენინგი;**
- ⇒ **საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 46,017 ფერმერს/აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირს;**
- ⇒ **სასოფლო-სამეურნეო სფეროს სხვადასხვა დარგში, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ტრეინინგი (სწავლება) ჩაუტარდა 500 ფერმერს/აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირს**

**განხორციელებული აქტივობები ცალკე ბიუჯეტს არ საჭიროებდა.**

- **პროგრამა 1.1.1:** აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის დონის ამაღლება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

<u>პროგრამის მიზანი:</u> აგრარულ სფეროში საბაზისო და თანამედროვე ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება

**განხორციელებული ღონისძიებები:**

2020 წელს, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ საკონსულტაციო მომსახურეობა გაეწია 6,763 ფერმერს. დარგობრივი მიმართულებით თემატურმა ტრეინინგებმა შეადგინა - 150, ჩატარებულმა ლექცია-სემინარმა კი 38;

საკონსულტაციო მომსახურეობა ხორცილდებოდა, როგორც საოფისე, ასევე სატელეფონო, ონლაინ, „sms" შეტყობინებებით, ლოკალურად ნაკვეთებზე (იშვიათ შემთხვევაში), ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

პანდემიის პერიოდში სოციალურ ქსელში აქტიურად გრძელდებოდა მომზადებული მცირე ზომის საინფორმაციო, თემატური გაიდლაინების განთავსება, რაც დამატებით საშუალებას აძლებდა ფერმერს მიეღო მისთვის საჭირო ინფორმაცია.

მთელი წლის განმავლობაში ჩატარდა 3 საველე დღე, გაიცა 70-მდე რეკომენდაცია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

საანგარიშო პერიოდში, გათვალისწინებული იყო საკონსულტაციო მომსახურების გაწევა 4,500 ფერმერისთვის, ფაქტობრივად, წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკონსულტაციო მომსახურებით ისარგებლა დაახლოებით 6,763 ფერმერმა. შესრულდა მეორე აქტივობის ინდიკატორი, რომელიც ითვალისწინებდა 30 თემატური ტრენინგის ჩატარებას. ამ მიმართულებით ჩატარდა 150 თემატური სემინარ-ტრენინგი. ასევე, საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 3 საველე დღე, როგორც იყო გათვალისწინებული.

პროგრამის განხორციელება ცალკე განსაზღვრულ ბიუჯეტს არ საჭიროებს.

| ღონისძიება 1.1 ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 1.1.1 აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის დონის ამაღლება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020– 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, ჩატარდება 3 საველე დღე;<br>ჩატარდება 30 თემატური ტრენინგი;<br>საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა 4,500-მდე ფერმერს | **შესრულებული:**<br>2020 წელს, ჩატარდა 3 საველე დღე;<br>ჩატარდა 150-მდე თემატური სემინარ-ტრენინგი;<br>საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 6,763 ფერმერს |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>0 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>0 ლარი</u> |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 1.1.2:** სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ფერმერებისათვის და აგრარულ სფეროში დასაქმებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელება საოფისე, დისტანციურ და საველე პირობებში. ექსტენციის სამსახურები დარგობრივი მიმართულებით საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების პარალელურად, უზრუნველყოფენ სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების პოპულარიზაციას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წლის განმავლობაში 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ საერთო ჯამში გაიცა 46,017 კონსულტაცია. მთელი საქართველოს მასშტაბით, სოფლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობამ შეადგინა 3,469 და მოიცვა 1,178 სოფელი. კონსულტაციების გაწევა ხორციელდებოდა დარგობრივი მიმართულებით, ასევე, ფერმერებს ეძლეოდათ სრული ინფორმაცია სააგენტოს მიერ მიმდინარე პროექტების შესახებ. საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდებოდა სხვადასხვა საშუალებით: ოფისში; სატელეფონო საუბრები; SMS შეტყობინება; დაინტერესებულ პირთა (ფერმერი) ფართობებში გასვლა; სოფლებში ფერმერებთან ჯგუფური შეხვედრები; შეხვედრები იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში; ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელები.

რეგიონული სამსახურებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ორგანიზებით კახეთის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფერმერებისთვის, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მხარდაჭერით, ჩატარდა დარგობრივი ტრენინგები მემარცვლეობის, მეფუტკრეობისა და მეთხილეობის მიმართულებით. ამ ტრეინინგებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 500 ფერმერმა/აგრარულ სფეროში დასაქმებულმა პირმა.

საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა COVID-19-ის გავრცელების შედეგად მიყენებული ზიანის განსაზღვრისა და მისი შემცირების მიზნით განახორციელეს შემდეგი სახის აქტივობები:

- ✓ პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ყოველდღიურ რეჟიმში რეგიონების/მუნიციპალიტეტების მიხედვით ფასებისა და მარაგების აღრიცხვა;
- ✓ პრობლემების აღრიცხვა - იდენტიფიცირება;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ფერმერთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობა;
- ✓ მოწეული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ფერმერებისა და შემსყიდველების ერთმანეთთან დაკავშირება;
- ✓ პანდემიის პერიოდში, ჩაკეტილი მუნიციპალიტეტების (მარნეული, მესტია) გამშვებ პუნქტებთან 24 საათიანი მორიგეობა და შეტანილი/გამოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღრიცხვა.

აგრეთვე, 2020 წელს, რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის, რეგიონული სამსახურებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს „აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებაში, ისევე როგორც 2020 წლის ყურძნის რთველისა და 2020 წლის არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის პროგრამებში.

ყველა ზემოთ მოცემულის გარდა, ექსტენციის სერვისის განვითარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- რეგიონული სამსახურებისა და საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლები აღიჭურვენ შესაბამისი სპეც-ფორმებით (FAO);
- ექსტენციის სამსახურების პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა საინფორმაციო ვიდეო რგოლი, სადაც აღწერილია ის ძირითადი საქმიანობა თუ მომსახურება, რასაც სააგენტოს თანამშრომლები აგრარული სექტორით დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ (UNDP);
- რეგიონული სამსახურები და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები გადავიდნენ ახალ პლატფორმაზე - regions.mepa.gov.ge, რაც საშუალებას იძლევა, საექსტენციო მომსახურეობა გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, სწრაფი და საჭიროებებზე ორიენტირებული (UNDP);
- ფერმერთა ცნობიერების ამაღლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით შეიქმნა სადემონსტრაციო ნაკვეთების ერთიანი ქსელი (FAO);
- განხორციელდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონული ბიბლიოთეკის - elibrary.mepa.gov.ge მოდერნიზაცია. დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა ერთ სივრცეში გაეცნონ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით არსებულ სხვადასხვა ნაშრომებს, სადემონსტრაციო ნაკვეთების რუკას, ღონისძიებების კალენდარსა და წარმატებული პროექტების შესახებ ინფორმაციას (FAO);
- გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურები აღიჭურვენ შესაბამისი საექსტენციო სპეცჩანთით (ელექტრონული ხელსაწყოებით), საოფისე ინვენტარითა და ტექნიკით (UNDP).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო მობილური ექსტენციის ფარგლებში 500 სოფელში შეხვედრების ჩატარება; საკონსულტაციო მომსახურების გაწევა 60,000 ბენეფიციარისთვის (ფიზიკური და იურიდიული პირი); სასოფლო-სამეურნეო სფეროს სხვადასხვა დარგში, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრეინინგის ჩატარება 1,000 ფერმერისთვის/აგრარულ სფეროში დასაქმებული პირისთვის. 2020 წელს, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ განხორციელდა 46,017 კონსულტაცია; სასოფლო-სამეურნეო სფეროს სხვადასხვა დარგში, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრენინგი ჩაუტარდება 500-მდე ფერმერს/აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირს. რაც შეეხება მობილურ ექსტენციას, მისი განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, COVID-19-ის პანდემიიდან გამოწვეული შეზღუდვების გამო, საერთოდ ვერ განხორციელდა.

აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში.

| ღონისძიება 1.1 ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 1.1.2: სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, მობილური ექსტენციის ფარგლებში 500 სოფელში ჩატარდება შეხვედრები; საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა 60,000 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი); სასოფლო-სამეურნეო სფეროს სხვადასხვა | **შესრულებული:**<br>2020 წელს, მობილური ექსტენციის ფარგლებში შეხვედრები არ ჩატარებულა; საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 46,017 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი); სასოფლო-სამეურნეო სფეროს სხვადასხვა დარგში, |

| | |
|---|---|
| დარგში, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრეინინგი ჩაუტარდება 1,000 ფერმერს/აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირს | კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრეინინგი ჩაუტარდა 500 ფერმერს/აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირს |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>0 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>0 ლარი</u> |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 1.2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება და მიწათსარგებლობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა

1.2 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ერთი პროგრამა განხორციელდა, კერძოდ, ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი.

ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 300,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

⇒ **ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტიში დარეგისტრირდა 11,793 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა.**

**1.2 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტია 300,000 ლარი. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 214,602 ლარი.**

- **პროგრამა 1.2.2:** ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> აღრიცხულ იქნეს საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი (გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირ(ებ)ის დაკვეთით ან/და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე), რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს, მათ შორის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წელს, მიმდინარეობდა ახალი ფერმერების/ფერმერული მეურნეობების დარეგისტრირება და 2018-2019 წელს დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების

მონაცემების გადამოწმება. განხორციელდა ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციისათვის საჭირო ელექტრონული სისტემის დახვეწისათვის (მათ შორის 2019 წელს დანერგილი, კომპანია „აბაკოს" „პროცესების და კონტროლის მართვის" ელექტრონული მოდულის), რათა ეს სისტემა უფრო დინამიური და ინტერაქტიური გამხდარიყო.

აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2020 წელს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის" ფარგლებში დარეგისტრირდა 11,793 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. სულ პროექტის დაწყებიდან პროექტის ფარგლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ ფერმერული მეურნეობების რაოდენობამ შეადგინა 134,654 ერთეული.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო 12,000 ფერმერის/ფერმერული მეურნეობის დარეგისტრირება. საანგარიშო პერიოდში, 11,793 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდა.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 300,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 214,602 ლარი.

| ღონისძიება 1.2. ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.2.2: ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს 12,000 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდება | **შესრულებული:**<br>2020 წელს, 11,793 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 300,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 214,602 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 1.3 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი პირობების შექმნა/განვითარება

1.3 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჯამში ორი პროგრამა განხორციელდა, კერძოდ, შეღავათიანი აგროკრედიტები და "ახალგაზრდა მეწარმე" - სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა.

ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 77,245,400 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **მომსახურეობა გაეწია 16,820 სესხს;**
- ⇒ **დაფინანსდა 39 ახალგაზრდა მეწარმე**

**1.3 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 77,245,400 ლარი. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 95,203,400 ლარი.**

- **პროგრამა 1.3.1** შეღავათიანი აგროკრედიტები

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა, ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წლის განმავლობაში, ხორციელდებოდა კონსულტაციები სესხის აღების შესაძლებლობებთან და შესაბამის პროცედურებთან დაკავშირებით. კონსულტაციები გაეწიათ როგორც პროექტის პოტენციურ, ასევე არსებულ ბენეფიციარებს. ასევე, საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს. კონსულტაციებში აქტიურად იყო ჩართული სააგენტოს საინფორმაციო სამსახური (ქოლ ცენტრი), აგრეთვე, გაკეთდა პრეზენტაციები და სატელევიზიო რეპორტაჟები. აგრეთვე, პროგრამის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით განხორციელდა ვიზიტები სხვადასხვა რეგიონში და მომზადდა რეპორტაჟები ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გადაიარაღების/გაფართოების შესახებ.

2020 წელს პროექტში განხორცილდა რამოდენიმე ცვლილება, კერძოდ: ძირითადი საშუალებების კომპონენტს დაემატა სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტი და სესხების მოცულობა განისაზღვრა 1,5 მილიონი ლარიდან 10 მილიონ ლარამდე. ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში საბრუნავ საშუალებებს დაემატა ერთწლოვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი. საბრუნავი საშუალებების კომპონენტს დაემატა ყურძნის, ვაშლის და ჩაის შემსყიდველი საწარმოების დაფინანსების ქვეკომპონენტები. ასევე, პროექტს დაემატა მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი, მეხორცული ჯიშის მესაქონლეობის და თხილი პირველადი წარმოების საბრუნავი საშუალებებისათვის, რაც გულისხმობს მხოლოდ უზრუნველყოფის ნაწილის მხარდაჭერას და არ ხორციელდება პროცენტის თანადაფინანსებსა.

2020 წელს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში ჩაერთო ფინკა ბანკი.

აქტივობის ფარგლებში, 2020 წელს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ გაცემული სესხების რაოდენობა - 7,152;
- ✓ გაცემული თანხის ოდენობა - 503,569,096 ლარი;
- ✓ ახალ გახსნილ საწარმოთა რაოდენობა - 4;
- ✓ ახალ გახსნილ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა - 83 (აქედან 34 სეზონურად);

- ✓ სულ ახალ გახსნილ საწარმოებში განხორციელდა 2,965,000 ლარის ინვესტიცია (აქედან, შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში აღებული სესხი შეადგენს 1,795,000 ლარს, ბენეფიციარის საკუთარი სახსრები შეადგენს 1,170,000 ლარს, ინფორმაცია ამ უკანასკნელის შესახებ მიღებულია ბენეფიციარების სატელეფონო გამოკითხვის შედეგად).

პროექტში ახალი საფინანსო ინსტიტუტის ჩართვა, კიდევ უფრო გაზრდის ფერმერებისთვის იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების მიღების საშუალებებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 13,000 სესხისთვის მომსახურეობის გაწევა. საანგარიშო პერიოდში 16,820 სესხს გაეწია მომსახურეობა.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტმა შეადგინა 74,000,000 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 93,182,856 ლარი.

| ღონისძიება 1.3 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი პირობების შექმნა/განვითარება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 1.3.1 შეღავათიანი აგროკრედიტები |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, 13,000 სესხს გაეწევა მომსახურეობა | **შესრულებული:**<br>2020 წელს, 16,820 სესხს გაეწია მომსახურეობა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 74,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 93,182,856 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 1.3.2:** "ახალგაზრდა მეწარმე" - სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა

<u>პასუხისმგებელი უწყება</u>: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი</u>: რეგიონებში ეკონომიკური ზრდის გაძლიერება, კერძო სექტორის განვითარება, ახალგაზრდების ბიზნესში ჩართულობის ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ბიუჯეტის შესაბამისად დამტკიცდა ბიზნეს გეგმები და გაფორმდა თანადაფინანსების ხელშეკრულებები. პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა და გავრცელდა

ბენეფიციარების წარმატების ისტორიების ბუკლეტები. პროექტების ძირითადი ნაწილი და პროგრამის ოპტიმიზაციისათვის და ცნობადობის ამაღლებისათვის საჭირო აქტივობები 2020 წლისათვის უკვე განხორციელებული იყო და აქედან გამომდინარე, 2020 წელს სააგენტო ახორციელებდა მხოლოდ მიმდინარე აქტივობებს, რომელთა შედეგებიც მოცემულია ქვემოთ

2020 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგებია:

- ✓ დამტკიცებული პროექტების რაოდენობა - 39;
- ✓ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 39;
- ✓ მათ შორის მდედრობითი სქესის ბენეფიციარები - 21;
- ✓ სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 1,710,833 ლარი;
- ✓ ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 4,525,643 ლარი.

პროექტის განხორციელების პროცესის შეფერხების რისკს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისგან გამოწვეული შეზღუდვები.

ამ ხელისშემშლელი ფაქტორის შესამცირებლად, ხორციელდებოდა ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, რათა დაჩქარებულიყო პროექტების განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის პროცესი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 37 ახალგაზრდა მეწარმის დაფინანსება. საანგარიშო პერიოდში, დაფინანსდა (ხელშეკრულება გაფორმდა) 39 ახალგაზრდა მეწარმე.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტმა შეადგინა 3,245,400 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 2,020,511 ლარი.

| ღონისძიება 1.3. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი პირობების შექმნა/განვითარება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.3.2: "ახალგაზრდა მეწარმე" - სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, დაფინანსდება 37 ახალგაზრდა მეწარმე | **შესრულებული:**<br>2020 წელს, დაფინანსდა 39 ახალგაზრდა მეწარმე |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 3,245,400 ლარი | **ფაქტობრივი:** 2,020,511 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 1.4 სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება

1.4 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ერთი პროგრამა განხორციელდა -აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ღონისძიების შესრულების მიზნით, დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 8,000,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

**⇒ დაიზღვა 18,178 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი;**

**1.4 ღონისძიების შესრულების მიზნით, დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტია 8,000,000 ლარი. საანგარიშო პერიოდში ათვისებულია 7,999,999 ლარი.**

- **პროგრამა 1.4.1** აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წლის პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- პროგრამა გახდა 3 წლიანი;
- მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის შემთხვევაში დამზღვევებს აქვთ საშუალება შეიძინონ მრავალწლიანი სადაზღვევო პოლისი.

აპრილი-მაისის თვეში გაფორმდა ხელშეკრულებები 8 სადაზღვევო კომპანიასთან. 2020 წლის პროგრამის მიმდინარეობა გაშუქდა სხვადასხვა ტელევიზიის საშუალებით. განხორციელდა სადაზღვევო პოლისების დოკუმენტური მონიტორინგი და გადაირიცხა სახელმწიფო სუბსიდია. დაიწყო კონსულტაციები სადაზღვევო კომპანიებთან და საერთაშორისო კონსულტანტებთან აგროდაზღვევის პროგრამაში შესაძლო ცვლილებებთან და ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგებია:

- ✓ გაცემული პოლისების რაოდენობა - 17,881;
- ✓ დაზღვეული მოსავლის ღირებულება - 161,957,565 ლარი;
- ✓ დაზღვეული მოსავლის ფართობი - 18,178 ჰა;
- ✓ სააგენტოს სადაზღვევო პრემიის წილი (სააგენტოს თანადაფინანსება) - 8,421,407 ლარი.

2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა იმისათვის, რომ ყოფილიყო გაანალიზებული ყველა ის საკითხი და პრობლემა, რომლებსაც ჰქონდა ადგილი წინა წლებში და მომხდარიყო ამ ფაქტორების გათვალისწინება პროგრამაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა მომავალი წლის პროგრამის მაღალი ეფექტურობით განხორციელებას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილ იყო დაახლოებით 16,500 ჰა სასოფლო-სამეურნეო ფართობის დაზღვევა. საანგარიშო პერიოდში, დაზღვეულ იქნა 18,178 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 8,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 7,999,999 ლარი.

| ღონისძიება 1.4. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.4.1: აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, დაზღვეული იქნება დაახლოებით 16,500 სასოფლო-სამეურნეო ჰა. | **შესრულებული:**<br>2020 წელს, დაზღვეულ იქნა 18,178 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 8,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 7,999,999 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 1.5 სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა

1.5 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ორი პროგრამის განხორციელება იყო დაგეგმილი: მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება.

ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 4,593,000 ლარით განისაზღვრა.

ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში

⇒ დაფინანსდა 7 კოოპერატივის თაფლის წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით აღჭურვა;
⇒ დაფინანსდა 13 კოოპერატივის გადამამუშავებელი დანადგარებით აღიჭურვა

**1.5 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 4,593,000 ლარია. საანაგიშო პერიოდში ათვისებულია მხოლოდ 4,157,400 ლარი.**

- **პროგრამა 1.5.1:** მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს სსიპ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ფუნქციები, გადმოვიდა ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ კომპეტენციაში, რისთვისაც განხორციელდა შესაბამისი პროცედურები, რომლებმაც თავის მხრივ გამოიწვია ობიექტური შეფერხებები, პროგრამის განხორციელების გრაფიკში და 2019 წელს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების გრაფიკმა გადაიწია 2020 წლისათვის. შესაბამისად, ამ აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო ყველა მოსამზადებელი და წინასწარი აქტივობა, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებები, უკვე განხორციელებული იყო 2019 წელს და 2020 წელს სააგენტო ახორციელებდა მხოლოდ გეგმით გათვალისწინებულ მიმდინარე აქტივობებს, რომელთა შედეგებიც მოცემულია ქვემოთ

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგებია:

✓ იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 6;
✓ სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 79,700 ლარი.

პროგრამით დასახული მიზნების მიუღწევლობის რისკ-ფაქტორად შესაძლოა დასახელდეს ის გარემოება რომ, რადგანაც დასავლური ტიპის კოოპერაცია საქართველოს მოსახლეობისთვის არის ახალი გამოწვევა, სირთულეს წარმოადგენს საშუალო ვადიან პერსპექტივაში, კოოპერატივის მეპაიეებს შორის სწორი (არა სუბიექტური) ბიზნეს ურთიერთობების განვითარება და მდგრადობა, რასაც თავის მხრივ კოოპერატივის ეფექტურობაზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. აგრეთვე, არახელსაყრელი კლიმატური პირობები და კორონავირუსის პანდემიის ნეგატიური გავლენა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 7 კოოპერატივის აღჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. საანგარიშო პერიოდში, გაფორმდა 6

ხელშეკრულება და სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ დამტკიცებულ პროექტებში შეადგინა 79,700 ლარი, ხოლო 7 კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 100,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 106,960 ლარი.

| ღონისძიება 1.5. სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.5.1: მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, 7 მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცემა საწარმოო საშუალებები (სატრანსპორტო მისაბმელი სკების გადაადგილებისათვის, სკა, საწური, ფიჭის ასათლელი დანა) | **შესრულებული:**<br>2020 წელს, 7 მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა საწარმოო საშუალებები (სატრანსპორტო მისაბმელი სკების გადაადგილებისათვის; სკა, საწური, ფიჭის ასათლელი დანა) |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 100,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 106,960 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 1.5.4:** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: საქართველოში რძისა და ყურძნის ნაწარმის წარმოების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი რძის და ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ადგილობრივად წარმოებული ნაწარმის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების ხელშეწყობა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს სსიპ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ფუნქციები, გადმოვიდა ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ კომპეტენციაში, რისთვისაც განხორციელდა შესაბამისი პროცედურები, რომლებმაც თავის მხრივ გამოიწვია ობიექტური შეფერხებები, პროგრამის განხორციელების გრაფიკში და 2019 წელს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების გრაფიკმა გადაიწია 2020 წლისათვის. შესაბამისად, ამ აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო ყველა მოსამზადებელი და წინასწარი აქტივობა, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებები, უკვე განხორციელებული იყო 2019 წელს და 2020 წელს სააგენტო ახორციელებდა მხოლოდ გეგმით გათვალისწინებულ მიმდინარე აქტივობებს, რომელთა შედეგებიც მოცემულია ქვემოთ.

პროგრამით დასახული მიზნების მიუღწევლობის რისკ-ფაქტორად შესაძლოა დასახელდეს ის გარემოება რომ, რადგანაც დასავლური ტიპის კოოპერაცია საქართველოს მოსახლეობისთვის არის ახალი გამოწვევა, სირთულეს წარმოადგენს საშუალო ვადიან პერსპექტივაში, კოოპერატივის მეპაიეებს შორის სწორი (არა სუბიექტური) ბიზნეს ურთიერთობების განვითარება და მდგრადობა, რასაც თავის მხრივ კოოპერატივის ეფექტურობაზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. აგრეთვე, არახელსაყრელი კლიმატური პირობები და კორონავირუსის პანდემიის ნეგატიური გავლენა.

2020 წელს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარების აქტივობა მოიცავდა ორ კომპონენტს:

1) ***მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა:***
   - ✓ იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 12;
   - ✓ სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 5,989,747 ლარი.
2) ***რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა:***
   - ✓ იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 4;
   - ✓ სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 565,259 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო გადამამუშავებელი დანადგარებით და საწარმოო საშუალებებით 10 კოოპერატივის აღჭურვა. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ჯამურად გაფორმდა 16 ხელშეკრულება და 13 კოოპერატივი აღიჭურვა გადამამუშავებელი დანადგარებით.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 4,493,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 4,050,486 ლარი.

| ღონისძიება 1.5. სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.5.4: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |

| შესრულების ინდიკატორები | |
|---|---|
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, გადამამუშავებელი დანადგარებით აღიჭურვება 10 კოოპერატივი | **შესრულებული:**<br>2020 წელს, გადამამუშავებელი დანადგარებით აღიჭურვა 13 კოოპერატივი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 4,493,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 4,050,486 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 1.6 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება

1.6 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში 5 პროგრამა განხორციელდა: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია, ქართული ღვინოპროდუქციის პროდუქციის პოპულარიზაცია, ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაცია, ღვინის ლაბორატორიული კვლევა, ტექნიკური დახმარების და მარკეტინგის პროექტი.

ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 9,591,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 2 გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში;**
- ⇒ **ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთის მიზნით, აღებული იქნა და ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა ალკოჰოლური სასმელის 2,000 ნიმუშს;**
- ⇒ **9 ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვას და სერტიფიცირებას; 1 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის სრულ ბრენდინგს**

**1.6 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 9,591,000 ლარია. საანგიშო პერიოდში ათვისებულია 8,109,700 ლარი.**

- **პროგრამა 1.6.1** ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია

პასუხისმგებელი უწყება: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია

**განხორციელებული ღონისძიებები**

საერთაშორისო გამოფენა „GREEN WEEK-2020“, გერმანიაში, ქ. ბერლინი, (17-28 იანვარი, 2020)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო ქართული კუთხე, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული პროდუქცია 16 კომპანიის მიერ: Geo Natural LLC; KABIS TONI LTD: SHALOS MARANI LTD: PRIVATE INTERPRENEUR TAMAZ GLONTI: GEOPLANT LTD: NECTARINI LTD: EU_GS STANDART GMBH: ALFA GROUP LTD: EGZOFRUIT LTD: TIFLISGEORGISHE SPEZILITATEN LTD: KAKHETIAN TRADITIONAL WINEMAKING LTD: DABI LTD: VELLINO LTD: GEOLINE-ENTDECKE GEORGIAN LTD; SOLOMNISHVILI WINERY LTD; CHELTI LTD.

საერთაშორისო გამოფენაზე „FRUIT LOGISTICA", გერმანია, ქ. ბერლინი (05.02.2020-07.02.2020); საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით წარმოდგენილი იყო ქართული პროდუქცია 5 კომპანიის მიერ:Agrolane Ltd ; Blue Valley; Georgian Agro House LLC ; Georgian Agro Product LLC ; Geo Fresh LTD.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 3 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ასევე, ქვეყნის შიგნით ერთი გამოფენა-დეგუსტაციის მოწყობა. საანგარიშო პერიოდში, მოეწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ქვეყნის შიგნით გამოფენა-დეგუსტაცია არ ჩატარებულა.

პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 504,000 ლარს. ზემოაღნიშნულ აქტივობებზე გახარჯულია 487,900 ლარი.

<table>
<tr><th colspan="2">ღონისძიება 1.6 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება</th></tr>
<tr><td>პროგრამის ნომერი და სახელწოდება</td><td>პროგრამა 1.6.1 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია</td></tr>
<tr><td>პასუხისმგებელი უწყება:</td><td>საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი</td></tr>
<tr><td>საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი</td><td>01.01.2020 - 31.12.2020</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>მოეწყობა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 3 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ქვეყნის შიგნით მოეწყობა 1 გამოფენა-დეგუსტაცია.</td><td>შესრულებული:<br>მოეწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.<br>ქვეყნის შიგნით გამოფენა-დეგუსტაცია არ ჩატარებულა.</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: 504,000 ლარი</td><td>ფაქტობრივი: 487,900 ლარი</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="3">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td></td><td></td><td>X</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
</table>

| | სტატუსი | | X | | | |
|---|---|---|---|---|---|---|

**აქტივობა 1.6.2** ქართული ღვინის პოპულარიზაცია

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ექსპორტის გაზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გაიმართა/უზრუნველყოფილი იყო მონაწილეობა შემდეგ გამოფენებზე:

- 10-12 თებერვალი- საერთაშორისო გამოფენა გამოფენა „VinExpo Paris";
- 2-3 მარტი, ნიუ-იორკი - ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „Vinexpo New York";

ღვინის, ბრენდი, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 336,0 მლნ აშშ დოლარი, რაც 5%-ით ნაკლებია 2019 წლის (354,4 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 216,3 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე (238,0 მლნ აშშ დოლარი) 9%-ით ნაკლებია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო 20 ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენის მოწყობა მსოფლიოს მასშტაბით; 2 ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ფესტივალის მოწყობა ქვეყნის შიგნით. შედეგად, მოსალოდნელი იყო ღვინის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალის, წინა წელთან შედარებით, 8%-იანი ზრდა.
2020 წელს, გაიმართა 2 გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და 42 დეგუსტაცია/პრეზენტაცია, ასვე ონლაინ ფორმატში. საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში 92.4 მლნ-მდე ბოთლი (0.75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2019 წლის (94.0 მლნ-მდე ბოთლი (0.75 ლ)) რაოდენობასთან შედარებით 1%-ით ნაკლებია. ხოლო, ღვინის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით 9%-ით ნაკლებია.
პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 7,065,000 ლარს. ზემოაღნიშნულ აქტივობებზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გახარჯულია 7,046,657ლარი.

| ღონისძიება 1.6 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.6.2: ქართული ღვინოპროდუქტების პოპულარიზაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, მოეწყობა 20 ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენა მსოფლიოს მასშტაბით;<br>მოეწყობა 2 ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ფესტივალი ქვეყნის შიგნით; | **შესრულებული:**<br>2020 წელს, მოეწყო 2 ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენა მსოფლიოს მასშტაბით;<br>ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ფესტივალი ქვეყნის შიგნით არ მოწყობილა;<br>9%-ით ნაკლებია ღვინის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით. |

| | |
|---|---|
| 8%-ით გაიზრდება ღვინის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით. | |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 7,065,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 7,046,657 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 1.6.3** ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაცია

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

პროგრამის მიზანი: ქართული ვაზის წარმოშობის ისტორიის კვლევების წახალისება და მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ღვინის პოპულარიზაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ორგანიზება გაუკეთდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნილი არქეოლოგიური ნიმუშების ეროვნულ მუზეუმში დაბრუნებას. პროგრამის ფარგლებში გამოქვეყნდა 2 სტატია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო 2 სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება; საანგარიშო პერიოდში მომზადდა 2 სამეცნიერო პუბლიკაცია.

პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 2,000 ლარს. ხოლო, ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 1,372 ლარი.

| ღონისძიება 1.6 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.6.3 ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, მომზადდება 2 სამეცნიერო პუბლიკაცია | **შესრულებული:**<br>2020 წელს, მომზადდა 1 სამეცნიერო პუბლიკაცია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 2,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 1,372 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 1.6.4** ღვინის ლაბორატორიული კვლევა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წელს საექსპორტო პროდუქციის ინსპექტირება განხორციელდა 210 კომპანიაში, საიადანაც აღებული იყო 450 ნიმუში. სერტიფიკატის მიღებაზე უარი ეთქვა 13 კომპანიას. ინსპექტირების შედეგად 8 ნიმუში არ შეესაბამებოდა ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს. სახელმწიფო ზედამხედველობა და სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა 50 კომპანიაში, საიდანაც აღებული იყო 2,000-მდე ნიმუში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთის მიზნით, **საექსპორტო პროდუქციის ინსპექტირების** და **სახელმწიფო ზედამხედველობა და სახელმწიფო კონტროლის** ლაბორატორიული კვლევის ჩატარება ალკოჰოლური სასმელის 850 ნიმუშზე. საანგარიშო პერიოდში, აღებულ იქნა: საექსპორტო პროდუქციის ინსპექტირების 450 ნიმუში, სერტიფიკატის გაცემაზე 8 შემთხვევაში დაფიქსირდა უარი; სახელმწიფო კონტროლის და სახელმწიფო ზედამხედველობის 2,000 ნიმუში; სულ მიღებული იქნა 2,450 ნიმუში.

პროგრამის განხორციელებისთვის ბიუჯეტი განისაზღვრა 390,000,00 ლარით. ხოლო, ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 339,340,00 ლარი.

| ღონისძიება 1.6 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.6.4 ღვინის ლაბორატორიული კვლევა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთის მიზნით, აღებული იქნება და ჩაუტარდება ლაბორატორიული კვლევა ალკოჰოლური სასმელის 850 ნიმუშს. | **შესრულებული:**<br>2020 წელს, ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთის მიზნით 2,000 ალკოჰოლური სასმელის ნიმუშს ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>390,000 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>339,340 ლარი</u> |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 1.6.5:** ტექნიკური დახმარების და მარკეტინგის პროექტი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების/პროექტების ფარგლებში, დაფინანსებული/დასაფინანსებელი ბენეფიციარების მიერ წარმოებული/საწარმოებელი პროდუქციის ხარისხის, უვნებლობის, მიკვლევადობის და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა, შესაბამისი აქტივობების თანადაფინანსების გზით. რაც გამოიხატება:

- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვაში;
- მარკეტინგულ აქტივობების ოპტიმიზაციის მიზნით, ბრენდინგსა და შეფუთვის დიზაინში დახმარებაში;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსებაში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები და მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

მიუხედავად ქვეყანაში COVID-19-ის ეპიდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორებისა, 2020 წლის განმავლობაში, პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების და პროგრამის პირობების და პროცედურების შემდგომი დახვეწა/ოპტიმიზაციის მიზნით, განხორციელდა კომუნიკაციები/კონსულტაციები, როგორც პროგრამის მოქმედ, ასევე პოტენციურ ბენეფიციარებთან.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამისა და ტექნიკური დახმარების სამსახურის ორგანიზებით „სოფლის მეურნეობის სააგენტოს" ბენეფიციარებისთვის, ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები. ტრენინგებში, 2020 წელს, საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 141 ბენეფიციარმა.

***2020 წლის განმავლობაში, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები:***

- პროგრამას დაემატა ბრენდირების მიმართულება;
- პროგრამას დაემატა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსება;
- სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 50%-ით, არაუმეტეს 15,000 ლარისა, ხოლო, თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 30%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10,000 ლარისა;

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25,000 ლარისა, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არა უმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15,000 ლარისა;
- ბრენდირების და შეფუთვის დიზაინის შექმნის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არა უმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15,000 ლარისა, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 30%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10,000 ლარისა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ ბრენდირებისა და შეფუთვის დიზაინის შექმნის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25,000 ლარისა, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არა უმეტეს 15,000 ლარისა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ აღჭურვილობის შეძენის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10,000 ლარისა.

***ამის გარდა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:***

- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები - გაფორმედა 28 ხელშეკრულება;
- ბრენდირება - გაფორმედა 10 ხელშეკრულება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსება - გაფორმედა 1 ხელშეკრულება;
- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დანერგილი სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა - დაინერგა 9 სტანდარტი;
- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროდუქციის/კომპანიის ბრენდირების რაოდენობა - განხორციელდა 1 ბრენდირება;
- დამტკიცებული განაცხადების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 297 120 ლარი;
- გაცემული თანადაფინანსების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა - 48 644.7 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 10 ბენეფიციარის მიერ სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება და 8 ბენეფიციარის პროდუქციის/კომპანიის სრული ბრენდირება. საანგარიშო პერიოდში 9 ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება, ხოლო ერთმა ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის სრული ბრენდირება. ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლების არასრული შესრულება გამოიწვეულია, პროგრამის განხორციელებაზე COVID-19-ის პანდემიის ნეგატიური ზეგავლენით.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 700,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 234,408 ლარი.

**ღონისძიება 1.6. ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება**

| | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.6.5: ტექნიკური დახმარების და მარკეტინგის პროექტი |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, 8 ბენეფიციარი მოახდენს პროდუქციის/კომპანიის სრულ ბრენდინგს და 10 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტრანდარტების დანერგვასა და სერტიფიცირებას | **შესრულებული:**<br>2020 წელს, ერთმა ბენეფიციარმა განახორციელა პროდუქციის/კომპანიის სრულ ბრენდინგი და 9 ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 700,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 234,408 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

# სტრატეგიული მიმართულება 3: მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება

სტრატეგიული მიმართულება მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება აერთიანებს ორ ღონისძიებას და სამ პროგრამას. ღონისძიებები ძირითადად მოიცავს სარწყავი და დამშრობი სისტემების გაუმჯობესებისთვის და ნიადაგის რაციონალური გამოყენებისთვის საჭირო პროგრამებს. სტრატეგიული მიმართულების ჯამური საპროგნოზო ბიუჯეტი **51,239,000** ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია **36,730,300** ლარი.

## ღონისძიება 3.1 სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება

3.1 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ორი პროგრამა განხორციელდა: სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება.

3.1 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 51,150,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 4.2 ათასი ჰექტარით;**
- ⇒ **სარწყავი მიწის წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 11.5 ათასი ჰა-ზე;**
- ⇒ **მიწის ფართობების დაშრობა განხორციელდა 3.75 ათას ჰა-ზე;**
- ⇒ **მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება განხორციელდა 9.41 ათას ჰა-ზე.**
- ⇒ **დაიწყო 2 წყალსაცავის კაშხლების რეაბილიტირების სამუშაოები და 2 სარწყავი სისტემის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები**

**3.1 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 51,150,000 ლარი უმეტესწილად არის შესრულებული. 2020 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ, პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 36,668,900 ლარი**

- **პროგრამა 3.1.1:** სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: შპს საქართველოს მელიორაცია

პროგრამის მიზანი: საირიგაციო და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წელს, კაპიტალური ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობდა: სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების, დიუკერებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია; არხების მოპირკეთების აღდგენა; მიწის ნაკვეთის ბლოკებამდე წყლის მიყვანის მიზნით, დამატებითი გამანაწილებელი არხებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა; წყალმზომი მოწყობილობების დაყენება; შიდა ქართლის (გამყოფი ხაზების მიმდებარედ), ასევე სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონების სოფლების სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, სამელიორაციო დანიშნულების სატუმბი სადგურების მოწყობა და არსებული სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია; სატუმბი სადგურების ელექტრო მომარაგების ქსელში ჩართვა, ელმექანიკური მოწყობილობების აღდგენა და ახლით შეცვლა; კოლხეთის დაბლობზე, ასევე კახეთის სარწყავი სისტემების ზონაში ძირითადი წყალშემკრები საკოლექტორო არხებისა და შიდასამეურნეო დამშრობი ქსელის რეაბილიტაცია.

საირიგაციო სისტემებზე მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სულ 71 ობიექტზე, აქედან დასრულდა 36, შეწყდა 2 პროექტი. პერიოდის ბოლოს (01.01.2021) მიმდინარეობდა 33 პროექტი.

მიმდინარეობდა დამშრობი (დრენაჟი) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები 15 ობიექტზე. აქედან დასრულდა 7 პროექტი, ხოლო 8 პროექტის განხორციელება მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საერთო შედეგი საბაზისო ჰექტრების გათვალისწინებით შეადგენს: წყალუზრუნველყოფილი ფართობი - 134,051 ჰა; დაშრობილი ფართობი - 43,229 ჰა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობის 6.8 ათასი ჰექტრით ზრდა. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფის 11.5 ათას ჰა-ზე გაუმჯობესება. 3.6 ათასი ჰა მიწის ფართობის დაშრობის განხორციელება; ჭარბი წყლის 9.7 ათას ჰა-ზე მოცილება. საანგარისო პერიოდში პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადავიდა დაახლოებით 4,200 ჰექტარი. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 11,492 ჰექტარზე. მიწის ფართობების დაშრობა განხორციელდა დაახლოებით 3,750 ჰექტარზე. ხოლო ჭარბი წყლის მოცილება 9,410 ჰა-ზე.

2020 წელს, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციითვის განსაზღვრული იყო 32,000,000 ლარი, ბიუჯეტის ფაქტობრივი ათვისება შეადგენს 19,496,118ლარს.

| ღონისძიება 3.1. სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 3.1.1:სამელიორაციოსისტემების რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | შპს საქართველოს მელიორაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 6.8 ათასი ჰექტრით. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 11.5 ათას ჰა-ზე. განხორციელდება 3.6 ათასი ჰა მიწის ფართობის დაშრობა; ჭარბი წყლის მოცილება 9.7 ათას ჰა-ზე. | **შესრულებული:**<br>2020 წელს, რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 4.2 ათასი ჰექტრით. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 11.5 ათას ჰა-ზე. განხორციელდა 3.75 ათას ჰა მიწის ფართობის დაშრობა; ჭარბი წყლის მოცილება 9.41 ათას ჰა-ზე. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 32,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 19,496,118 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 3.1.2:** ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB)

პასუხისმგებელი უწყება: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

პარტნიორი ორგანიზაცია: მსოფლიო ბანკი (WB)

პროგრამის მიზანი: სამი საირიგაციო სისტემის (ზედა რუს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხი და ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემა) სრული რეაბილიტაცია (სათავე ნაგებობები, მაგისტრალური არხები, პირველი და მეორე რიგის გამანაწილებელი არხები და შიდა სამეურნეო ქსელები).

**განხორციელებული ღონისძიებები**

ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი (ILMDP) შედგება სამი კომპონენტისგან: კომპონენტი 1 - ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (45.65 მლნ. აშშ დოლარი). კომპონენტი 2 - მიწის ბაზრის განვითარება (2.25 მლნ. აშშ დოლარი) და კომპონენტი 3 - პროექტების მენეჯმენტი (2.1 მლნ. აშშ დოლარი). კომპონენტი 1 ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. კომპონენტი 2 ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს მიერ საჯარო რეესტრის მეშვეობით. პროექტის კომპონენტი 1 შედგება ორი ქვე-კომპონენტისგან:

**ქვეკომპონენტი 1.1 საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია (ზედა რუს, ტბისი-კუმისის და ქვემო სამგორის არხის რეაბილიტაცია)**

- **სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ციკლის სისტემების პროექტირება და ზედამხედველობა**

კომპანია ინშაათმა **ქვემო სამგორის G1-G32** გამანაწილებლებზე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ:

მოხდა ტერიტორიის იჯარით აღება, შემოღობვა, წყლის შემოყვანა, საოფისე კონტეინერების განთავსება და შესაბამისი საოფისე ავეჯით აღჭურვა. გარდა ამისა, მოხდა შესაბამისი ტექნიკის შემოყვანა. კერძოდ, ჩამოყვანილ იქნა 3 ფორდის თვითმსვლელის, ერთი ექსკავატორი, 4 JCB, საწვავი ცისტერნა, 2 დიზელ-გენერატორი. მოხდა კანალიზაციის გაყვანაზე. ასევე მაგისტრალურ არხზე დაიწყო ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები; გასუფთავდა მაგისტრალური არხის ბორდიური და ბერმა ბალახისგან, რის შემდეგაც მოხდება არხის ამაღლება 30 სმ-ით. მთლიანად იგეგმება 22 კმ არხის 30 სმ ამაღლება. დღესდღეობით მოხდა 2 კმ ამაღლება და მიმდინარეობს დანარჩენი არხის ამაღლება;

მიმდინარებს ბეტონის კვანძის აწყობა და სამონტაჟო სამუშაოები ა.შ. უნდა აღინიშნოს რომ კორონა ვირუსთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვების გამო მოხდა გარკვეული სამუშაოების შეფერხება.

ასევე, G3, G4, G5, G5-1, G6 გამანაწილებლებზე მოხდა ქვიშის დაყრა და მილების ჩადება. G6, G4 და G3 გამანაწილებლებზე მოხდა ჰიდრავლიკური ტესტირების წარმატებით დასრულება. მოცემული ტესტირება ამ ეტაპზე ხორციელდება G5 G5-1 გამანაწილებლებზე. ტესტირების დასრულების შემდეგ მოხდება ჰიდრატების განთავსება. სარეაბილიტაციო საქმიანობა მიმდინარეობს ასევე G20 და G21 გამანაწილებლებზე. დღესდღეობით მილები ჩადებულია. საექსკავაციო სამუშაოები დაიწყო G23-ზე;.

გარდა ამისა, გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა **ქვემო სამგორის G33 გამანაწილებელზე** სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერის გამოცხადება.

**ზედა რუს სქემაზე** შერჩეული კომპანია „გზა“ აწარმოებს სამუშაოებს G1, G2 და G3 გამანაწილებლებზე. G4 და G5 გამანაწილებლებზე მომზადა შოფ-ნახაზები, ხოლო G6, G7 და G8 გამანაწილებლებზე დასრულდა ტოფოგრაფიული სამუშაოები.

რაც შეეხება **ტბისი-კუმისის სქემას,** ამ ეტაპზე შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების გამო, შეჩერებულია მოცემული სქემის რეაბილიტაციის გეგმა და მიმდინარეობს მუშაობა ფინანსების მოძიებაზე.

- **სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება ალგეთის და სიონის კაშხლების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით**

შერჩეულმა კომპანია საქჰიდროენერგომშენმა დაასრულა სამობილიზაციო საქმიანობა და დაიწყო სარეაბილიტაციო-სამღებრო სამუშაოები. ამ ეტაპისთვის, **სიონის წყალსაცავზე** დასრულებულია ელექტრო და სავენტილაციო სისტემები, ხუფები დამონტაჟებულია, საავარიო ელექტროობა უზრუნველყოფილია, ახალი ლიფტი შეძენილი და ინსტალირებულია. მიმდინარეობს საცემენტაციო სამუშაოები, წყლის მიმღების და ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია, მილსადენის ხუფების რეაბილიტაცია, ლითონის კონსტრუქციების შეღებვითი სამუშაოები.

რაც შეეხება **ალგეთის წყალსაცავს,** გვირაბიდან მოხდა წყლის ამოტუმბვა და გასუფთავება ლექისგან და მზადაა ტუმბოს დასამონტაჟებლად. მოხდა პროექტის დიზაინის შემოთავაზება ახალი სპეციფიკაციებით, რომლის დადასტურებაც უნდა მოხდეს საზედამხედველო კომპანია თემელსუსგან.  ასევე, მოხდა საავარიო ელექტროობის უზრუნველყოფა, ქვედა ბიეფის რეაბილიტაცია, ლითონის კონსტრუქციების შეღებვა, წყლის მიმღების გასუფთავება და ლითონის კონსტრუქციების რეაბილიტაცია.

*ქვეკომპონენტი 1.2 შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინსტიტუციონალური და საექსპლუატაციო სტრუქტურის გაძლიერება* (წყალ მომხმარებელთა ორგანიზაციებზე კანონპროექტის შემუშავებაში მხარდაჭერა, სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება წყალ მომხმარებელთა ორგანიზაციების მუშაობის უზრუნველსაყოფად, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა და ა.შ).

წყალმომხარებელთა ორგანიზაციების კანონპროექტი მიღებულ იქნა საქართველო პარლამენტის მიერ 2019 წლის დეკემბერში. ამ ეტაპისთვის, მომზადა წყალმომხარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების სამუშაო გეგმა, გაწერილი დეტალური განხორციელების განრიგითა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. ამ ეტაპზე უნდ მოხდეს გეგმის შეთანხმება მელიორაციის მენეჯმენტთან, რის შედეგადაც განიხილება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის  სამინისტრო მენეჯმენტთან.

შეიქმნა წმო-ების ჩამოყალიბების ხელშეწყობის საკომუნიკაციო, მედია და PR კამპანიის განხორიცელების სამუშაოს აღწერა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს კომპანიის აყვანა, რომელიც განახორციელებს მოცემულ საქმიანობას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო 2 წყალსაცავის კაშხლის რეაბილიტირების სამუშაოების და მონიტორინგის და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა. ასევე, დაგეგმილი იყო 3 სარწყავი სისტემის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება. საანგარიშო პერიოდში დაიწყო 2 წყალსაცავის კაშხლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მონიტორინგის და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა. აგრეთვე, დაიწყო 2 სარწყავი სისტემის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2020 წელს დაგეგმილი იყო 19,150,000 ლარის ათვისება, ხოლო ათვისებულ იქნა 17,172,733 ლარი.

| ღონისძიება 3.1. სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 3.1.2 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| პარტნიორი ორგანიზაცია: | მსოფლიო ბანკი (WB) |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს დაიწყება 2 წყალსაცავის კაშხლების რეაბილიტირების სამუშაოები და მონიტორინგის და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა;<br>დაიწყება 3 სარწყავი სისტემის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები. | **შესრულებული:**<br>2020 წელს დაიწყო 2 წყალსაცავის კაშხლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მონიტორინგის და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა;<br>დაიწყო 2 სარწყავი სისტემის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 19,150,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 17,172,733 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 3.2 ნიადაგების რაციონალური გამოყენება

3.2 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჯამში ერთი პროგრამა განხორციელდა, კერძოდ, საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით.

3.2 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 89,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **შესწავლილ იქნა ნიადაგების მდგომარეობა 20,000 ჰა მიწის ფართობზე;**
- ⇒ **თითოეული საკვლევი მუნიციპალიტეტისთვის შემუშვებულ იქნა 5 რეკომენდაცია;**
- ⇒ **შედგენილ იქნა ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 1 რუკა**

**3.2 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 89,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 61,422 ლარი.**

- **პროგრამა 3.2.1:** საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

პროგრამის მიზანი: დეგრადირებული ნიადაგების სტრუქტურის გაუმჯობესება და ნაყოფიერების ამაღლება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში აღებულია ნიადაგის 41 ნიმუში, რომელსაც ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების შესწავლის მიზნით.
- ჩატარდა ნიადაგის საველე კვლევა, აღებულია და მომზადებულია ლაბორატორიული კვლევისთვის ნიადაგის 44 ნიმუში;
- ნიადაგის 22 ნიმუშს ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით;
- საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში გამოკვლეულია 20000 ჰა ფართობი.
- მომზადდა ნიადაგში ორგანული ნახშირაბდის მარაგის ამსახველი 1 რუკა.
- მონაცემები შეტანილია ელექტრონულ ბაზაში.
- შედგენილია ნიადაგის ნიმუშების აღების წერტილების განმსაზღვრელი რუკა 2 კმ-იანი ბადით;
- შედგენილია საველე პირობებში ნიმუშების აღების გეგმა-გრაფიკი;
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების შეფასების მიზნით აღებულია ნიადაგის 18 ნიმუში;
- ნიადაგის 42 ნიმუშს ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა ნიადაგის ნაყოფიერების შესაფასებლად. მონაცემები შეტანილია ელექტრონულ ბაზაში;
- აღებული და ლაბორატორიული კვლევისთვის მომზადებულია ნიადაგის 110 ნიმუში;
- ნიადაგის 50 ნიმუშს ჩაუტარადა ლაბორატორიული კვლევა ქიმიური და ფიზიკური მახასიათებელების განსაზღვრის მიზნით. გამოკვლევის შედეგები შეტანილია მონაცემთა ბაზაში.
- მომზადდა 5 რეკომენდაცია ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ვაზის კულტურის ქვეშ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დეგემილი იყო ნიადაგის მდგომარეობის შესწავლა 20,000 ჰა მიწის ფართობზე; თითეულ საკვლევი მუნიციპალიტეტიათვის 1 რეკომენდაციის შემუშავება; ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 1 რუკის შედგენა.

**საანგარიშო პერიოდში შესწავლილია:**

ნიადაგების მდგომარეობა 20,000 ჰა მიწის ფართობზე; შემუშვებულია 5 რეკომენდაცია; ნიმუშების ასაღები ადგილმდებარეობის ამსახველი ბადე და შებამისი 1 რუკა; შედგენილია ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის 1 რუკა.

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის ბიუჯეტი განისაზღვრა 89,000 ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 61,422 ლარი.

| ღონისძიება 3.2 ნიადაგების რაციონალური გამოყენება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 3.2.1: საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, შესწავლილი იქნება ნიადაგის მდგომარეობა 20,000 ჰა მიწის ფართობზე<br>თითეული საკვლევი მუნიციპალიტეტიათვის შემუშავებული იქნება 1 რეკომენდაცია;<br>შედგენილი იქნება ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 1 რუკა. | **შესრულებული:**<br>2020 წელს, ნიადაგის მდგომარეობა შესწავლილია 20,000 ჰა ფართობზე<br>მომზადდა ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების 5 რეკომენდაცია<br>შედგენილია ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 1 რუკა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 89,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 61,422 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## სტრატეგიული მიმართულება 4: რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - და მატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებითი ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა აერთიანებს 4 ღონისძიებას და ჯამში 10 პროგრამას. სტრატეგიულ მიმართულებაში გაერთიანებულია შემდეგი ღონისძიებები: საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი; ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემების განვითარების მხარდაჭერ; მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა);

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება.

სტრატეგიული მიმართულების ჯამური საპროგნოზო ბიუჯეტი **89,350.000** ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია **76,652,300** ლარი.

## ღონისძიება 4.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი

4.1 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა, იმერეთის აგროზონა და მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა.

4.1 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 4,500,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **დაფინანსდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის 2 პროექტი;**
- ⇒ **გაიცა 67 მიზნობრივი გრანტი**

**4.1 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 4,500,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 4,323,900 ლარი.**

- **პროგრამა 4.1.1:** ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>პროგრამის მიზანი:</u> საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წლის განმავლობაში, შექმნილი კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციების მონახულება. პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით მოხდა არაერთ ბენეფიციართან კომუნიკაცია, როგორც პროგრამაში ჩართული, ასევე პოტენციური ბენეფიციარების შესახებ და პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

2020 წელს, რამოდენიმე ბენეფიციარს მოუწია, პროექტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო, ჩაის პირველადი გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის ნებართვის და საწარმოს შენობების ექსპლუატაციაში მიღების აქტების

წარმოდგენის ვადამ. ამ ეტაპზე ყველა ბენეფიციარს დროულად აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგებია:

- ✓ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 2;
- ✓ სარეაბილიტაციო პლანტაციების ჯამური ფართობი - 168 ჰა;
- ✓ რეაბილიტირებული პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება - 419,192 ლარი;
- ✓ დამტკიცებულ პროექტებში თანადაფინანსების ოდენობა - 293,434 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენდა, პირველ რიგში ქვეყანაში შექმნილი ეპიდ ვითარება, გარდა ამისა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაბამის აგროვადებში ვერ მოსწრება, ასევე დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების (ჩაის პლანტაციების) რეგისტრაციის დროში გაჭიანურება. ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ძალიან ჭიანურდება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მხრიდან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების იჯარით გაცემის თანხმობა და შემდგომი პროცესი. აღნიშნული შეფერხებაც მეტ წილად გამოწვეულია არსებული ვითარების გამო. თუმცა ბენეფიციარებთან ყოველდღიური კომუნიკაციით და შესაბამისი საკონსულტაციო და სხვა სახის დახმარებების შედეგად, შესრულების ინდიკატორის სამიზნე ნიშნულები მიღწეულია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის 2 პროექტის დაფინანსება. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის 2 პროექტი.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 500,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 23,078 ლარი.

| ღონისძიება 4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 4.1.1: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, დაფინანსდება ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის 2 პროექტი | **შესრულებული:**<br>2020 წელს, დაფინანსდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის 2 პროექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 500,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 23,078 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 4.1.2:** იმერეთის აგროზონა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო დარგის, კერძოდ სასათბურე სექტორის (მწვანილის და სასათბურე ბოსტნეულის) საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტიმულირება და შედეგად საექსპორტო შემოსავლების ზრდა; ტრადიციული საექსპორტო დარგებისათვის ახალ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა და შედეგად საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია; სექტორში ტრადიციულად ჩართული მეწარმეებისათვის (წვრილი და საშუალო) შემოსავლების გაზრდის წინაპირობების შექმნა, ახალი შესაძლებლობების გამოყენების გზით; ქვეყნის მასშტაბით სასათბურე სექტორის მოდერნიზაციისა და ცოდნის გაზიარების ნიმუშის შექმნა; ქუთაისის ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბების წინაპირობების შექმნა.

***ამოცანები:*** სურსათის უვნებლობის სტანდარტების მქონე, საერთაშორისო ვაჭრობისთვის აუცილებელი, კრიტიკული რაოდენობის პირველადი საწარმოების შემჭიდროვებულ ვადებში შექმნის სტიმულირება; მოსავლის შემდგომი დამუშავების თანამედროვე საწარმოს შექმნის სტიმულირება; აგრო ზონის გამართული ფუნქციონირებისათვის ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა; სასათბურე მეურნეობების კლასტერის შექმნა და განვითარება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

*2020 წლის დეკემბერში დასრულდა იმერეთის აგრო ზონის სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტის პირველი ფაზა, შედეგად:*

- ჩამოყალიბდა და სამინისტროსთან შეთანხმდა პროექტის განვითარების კონცეფცია და სტრატეგია;
- საქართველოს მთავრობამ პროექტის განვითარებისთვის დამატებით გამოყო 219 ჰა მიწის ნაკვეთები წყალტუბოს და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში;
- განხორციელდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების სრული გეოლოგიური, გეოდეზიური და საინჟინრო შესწავლა მათზე სასათბურე მეურნეობების განვითარების მიზნით;
- შეიქმნა პროექტის ინფრასტრუქტურული ნაწილის გენერალური გეგმა (მისასვლელი და შიდა გზები; ელექტრო ენერგიის და ბუნებრივი აირის მიწოდება; სარწყავი, სადრენაჟე და საკანალიზაციო სისტემები და სხვა);
- მიწის ნაკვეთები დაიყო სხვადასხვა ტექნოლოგიურ ზონებად: მაღალი, საშუალო და დაბალი ტექნოლოგიური სათბურების შექმნის მიზნით;
- თითოეული ტექნოლოგიური ზონა დაიყო მიწის ნაკვეთებად შესაბამისი სათბურებისთვის;
- განისაზღვრა მიწის ნაკვეთები სადემონსტრაციო-სატრენინგო ცენტრისა და სხვა დამხმარე ბიზნესებისთვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო „იმერეთის აგროზონის“ კონცეფციის შექმნის მიზნით ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული კომპანიის მიერ სასათბურე კლასტერის კონცეფციის შექმნა. საანგარიშო პერიოდში, „იმერეთის აგროზონის“ კონცეფციის შექმნის მიზნით ჩატარდა კონკურსი და გამარჯვებული კომპანიის მიერ შეიქმნა სასათბურე კლასტერის კონცეფცია, რომელიც შეთანხმდა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან“.

2020 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 630,000 ლარი. ეს თანხა გაიხარჯა „იმერეთის აგრო ზონის“ სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში, განხორციელებული აქტივობებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

<table>
<tr><th colspan="2">ღონისძიება 4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი</th></tr>
<tr><td>პროგრამის ნომერი და სახელწოდება:</td><td>პროგრამა 4.1.2: იმერეთის აგროზონა</td></tr>
<tr><td>პასუხისმგებელი უწყება:</td><td>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო</td></tr>
<tr><td>საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი:</td><td>01.01.2020 - 31.12.2020</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>2020 წელს, „იმერეთის აგროზონის“ კონცეფციის შექმნის მიზნით ჩატარებულ კონკურში გამარჯვებული კომპანიის მიერ შეიქმნება სასათბურე კლასტერის კონცეფცია</td><td>შესრულებული:<br>2020 წელს, შექმნილია „იმერეთის აგროზონის“ სასათბურე კლასტერის კონცეფცია</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: 0 ლარი</td><td>ფაქტობრივი: 630,000 ლარი</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td>X</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

## ღონისძიება 4.2 ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემების განვითარების მხარდაჭერა

4.2 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ერთი პროგრამა განხორციელდა, კერძოდ ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

4.2 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 50,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

⇒ **მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნა 4 ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო; შემუშავდა 1 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა**

**4.2 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 50,000 ლარი. 2020 წელს პროგრამის განხორციელებისთვის გახარჯულია 10,500 ლარი**

- **პროგრამა 4.2.1:** ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

პროგრამის მიზანი: ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წელს განხორციელდა კოლექტიური სასაქონლო ნიშანი ალაზნის ველის დაცვა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ ადგილწარმოშობის დასახელების ოთხი ღვინო დარეგისტრირდა და მათი რაოდენობა 24-მდე გაიზარდა: „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“ და „ახოები“. ოთხი ახალი ღვინიდან ერთი სამეგრელოს, ხოლო სამი კახეთის რეგიონში იწარმოება:

- ✓ „სალხინოს ოჯალეში“ წითელი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.
- ✓ „ახმეტა“ (დამატებითი აღნიშვნა „ახმეტის მწვანე“) თეთრი ან ქარვისფერი ღვინოა. მიკროზონა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობს.
- ✓ „წარაფი“ ქარვისფერი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.
- ✓ „ახოები“ წითელი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო სულ მცირე 3 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმის შემუშავება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 20 ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის დაცვა. საანგარიშო პერიოდში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნა 4 ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო; შემუშავდა 1 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა.
პროგრამის განხორციელებისთვის ბიუჯეტი განისაზღვრა 50,000 ლარით. ხოლო, ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 10,468 ლარი.

| ღონისძიება 4.2.1: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 4.2.1: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების ხელშეწყობა |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნება 20 ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო;<br>შემუშავდება 3 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა | **შესრულებული:**<br>მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნა 4 ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო;<br>შემუშავდა 1 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 50,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 10,468 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## **ღონისძიება 4.3** მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა(შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა)

4.3 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ორი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა.

4.3 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 12,250,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **დაფინანსდა/დასრულდა ჯამურად 10 შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმო;**
- ⇒ **შემუშავდა 2 რეკომენდაცია და 3 ინსტრუქცია.**

**4.3 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 12,250,000 ლარია. 2020 წელს სახელმწიფოს მიერ, პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 9,243,300 ლარი**

- **პროგრამა 4.3.1:** სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტებში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და უმოქმედო საწარმოების რეაბილიტაცია; გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; სანედლეულო ბაზის განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წელს, მიღებულია შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოს შექმნით დაინტერესებული ბენეფიციარების განაცხადები, დოკუმენტები და ბიზნეს გეგმები. წლის განმავლობაში შემოსული განაცხადების საფუძველზე დაიწყო 16 ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოს თანადაფინანსება. ამასთან, დასრულდა 10 ახალი საწარმოს მშენებლობა. პროექტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ტექნიკური დახმარების ფარგლებში სტანდარტების დანერგვისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების მიღების შესაძლებლობა გაუჩნდათ შემნახველ საწარმოებსაც.

„ტექნიკური დახმარების" ფარგლებში ISO 22000-ს და HACCP სერთიფიკატის დანერგვის მიზნით 28 ბენეფიციართან გაფორმდა თანადაფინანსების ხელშეკრულებები.

2020 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგებია:

- ✓ პროექტის ფარგლებში ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა - 10;
- ✓ იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებშიც შეიქმნა ახალი საწარმოები - 8;
- ✓ შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული ახალი პროექტების რაოდენობა - 16;
- ✓ დამტკიცებული განაცხადების ჯამური ღირებულება - 19,314,867 ლარი;
- ✓ სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 9,072,015 ლარი.

პროექტის დაწყებიდან 31.12.2020 პერიოდში შექმნილი/დასრულებული საწარმოების რაოდენობამ შეადგინა 68 საწარმო. ხოლო იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობამ, სადაც მდებარეობს აღნიშნული საწარმოები, შეადგინა 31 მუნიციპალიტეტი.
აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად განხორციელებული და განხორციელების პროცესში არსებული პროექტების რაოდენობამ შეადგინა 99 ერთეული (56 გადამამუშავებელი და 43 შემნახველი საწარმო).
პროექტის განხორციელების პროცესში საწარმოთა შექმნის რისკს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისგან გამოწვეული შეზღუდვები, სავალუტო კურსის მერყეობა, ვინაიდან ოპერაციები ხორციელდება სხვადასხვა ვალუტაში (ლარში, აშშ დოლარში, რუბლში და ევროში). ასევე, შეფერხება შესაძლოა გამოიწვიოს კლიმატურმა პირობებმა, რადგან პროექტები ხორციელდება რეგიონებში და სამშენებლო სამუშაოები შემოდგომის მიწურულიდან შუა გაზაფხულამდე ზოგიერთ რეგიონში ფაქტობრივად ჩერდება.

ამ ხელისშემშლელი ფაქტორების შესამცირებლად, ხორციელდებოდა ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, რათა დაჩქარებულიყო პროექტების განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის პროცესი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო ჯამურად 21 შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოს დაფინანსება/დასრულება. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა/დასრულდა 10 გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმო.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 12,200,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 9,227,171 ლარი.

| ღონისძიება 4.3. მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა) | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 4.3.1: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, დაფინანსდება/დასრულდება ჯამურად 21 შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმო | **შესრულებული:**<br>2020 წელს, დაფინანსდა/დასრულდა ჯამურად 10 შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმო |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 12,200,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 9,227,171 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 4.3.2:** სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

პროგრამის მიზანი: სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- ჩატარდა კვლევა სასუფრე ყურძნის ექვს ჯიშზე. შეფასებულია ცალკეული ჯიში ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით, გამოვლენილია კომბინირებული ხსნარის ეფექტურობა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით ბიოქიმიური მაჩვენებლების თვალსაზრისით.
- შეფასებულია კურკოვანი კულტურების შერჩეული ჯიშები ბიოქიმიური მაჩვენებლების თვალსაზრისით, გამოვლენილია საკვლევი კომბინირებული ხსნარის ეფექტურობა შენახვის უნარიანობის მხრივ.
- განხორციელდა ცალკეული სახის ხილის (ალუბალი, თეთრი თუთა) წვენების დამზადება;

- დამზადებულია შედარებით დაბალკალორიული კაკლის მურაბა ყურძნის დეიონიზირებული კონცენტრატის გამოყენებით;
- განისაზღვრა ტექნოლოგიური მახასიათებლები ყურძნის ჯიშების მიხედვით; მომზადდა ყურძნის კომპოტი კომპოზიციის საფუძველზე, შაქრის გამოყენების გარეშე. მიღებულია შედარებით დაბალკალორიული, ფიტოქიმიური ნივთიერებებით ბალანსირებული პროდუქტი.
- განხორციელდა ყურძნის ჯიშ საფერავის წიპწისა და კანის დიფერენცირება და შენახვა მშრალი სახით, მისი შემდგომი გამოყენების მიზნით.
- შემუშავდა ალუბლის კონვექციური მეთოდით შრობის ტექნოლოგია.
- დამთავრდა არასტანდარტული ვაშლის კომპლექსური გადამუშავების და წვენების დაკონსერვების ტექნოლოგიების შესახებ რეკომენდაციებზე მუშაობა და განხორციელდა კვლევის შედეგების სისტემატიზაცია;
- შემუშავებული სქემის საფუძველზე აწყობილ იქნა ახალი მაკონცენტრირებელი მოწყობილობა;
- დადგინდა ნიმუშების (სიდრი,ძმარი, წვენი) ძირითადი ქიმიური და ფიტოქიმიური მაჩვენებლები;
- დამზადებულია ვაშლის, მინიკივის და ბროწეულის ძმრის, აგრეთვე ვაშლის და მსხლის ღვინის საკვლევი ნიმუშები.
- შემუშავებულია გაყინვის ენერგოდამზოგავი ტექნოლოგია, მიღებული პროდუქტები შეფასებულია ფუნქციონალური თვალსაზრისით.
- შემუშავდა ქართული ეროვნული რძის პროდუქტების („დამბალხაჭო“, ყველი ,,ტენილი" და ყველი ,,გუდა") ტექნოლოგიური ინსტრუქციის ელექტრონული ვერსია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, ინდიკატორის მიხედვით დაგეგმილი იყო 3 რეკომენდაციის და 1 ინსრუქტციის შემუშავება. ფაქტიურად შემუშავდა 2 რეკომენდაცია და გამოქვეყნდა 3 ბროშურა.

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 50,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 16, 097 ლარი.

| ღონისძიება 4.3. მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა) | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 4.3.2: სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, შემუშავდება 3 რეკომენდაცია;<br>შემუშადება 1 ინსტრუქცია. | **შესრულებული:**<br>2020 წელს, შემუშავდა 2 რეკომენდაცია;<br>გამოქვეყნდა 3 ბროშურა. |
| **ბიუჯეტი** | |

| საპროგნოზო: 50,000 ლარი | ფაქტობრივი: 16,097ლარი |
|---|---|

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 4.4 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება

4.4 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ოთხი პროგრამა განხორციელდა, კერძოდ დანერგე მომავალი, მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი, აგროწარმოების ხელშეწყობა და სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება.

4.4 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 72,550,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **გაშენდა/დაკონტრაქტდა დამატებით 2,701 ჰა-მდე ახალი ბაღი და 8 სანერგე მეურნეობა;**
- ⇒ **განხორციელდა 73 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება;**
- ⇒ **376 ბენეფიციარს დაუფინანსდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა / სასათბურო მეურნეობის მოწყობა / სარწყავი სისტემების მოწყობა;**
- ⇒ **სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების ფარგლებში, დაფინანსდა 246,871 ფერმერი (დაერიცხებათ სარგებელი).**

**4.4 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 72,550,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, პროგრამის განხორციელებისთვის გახარჯულია 63,074,700 ლარი.**

- **პროგრამა 4.4.1:** დანერგე მომავალი

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>პროგრამის მიზანი:</u> საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წლის განმავლობაში პროგრამაში „დანერგე მომავალი“ არაერთი ცვლილება იქნა შესული, კერძოდ: პროგრამას დაემატა ორი ახალი კომპონენტი:

- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნერგების დაფინანსების კომპონენტი

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს არსებული მრავალწლიანი ბაღების მოდერნიზაციის ან/და ახალი მრავალწლიანი ბაღების გაშენების მიზნით პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. ფოთი.

- ✓ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდებათ ვენახის, ვაშლის, მსხლისა და ბლის ბაღებისთვის განკუთვნილი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის ღირებულების არაუმეტეს 10%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 20%, ამასთან, დადგენილია თანადაფინანსების ზედა ზღვარი;
- ✓ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდებათ/აუნაზღაურდებათ ჭის/ჭაბურღილის (მათ შორის, სატუმბი სადგურის) მოწყობის ღირებულების არაუმეტეს 50%-ისა, მაგრამ არაუმეტეს 15,000 ლარისა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 60%-ისა, მაგრამ არაუმეტეს 18,000 ლარისა;
- ✓ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა ფინანსდება ისეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ამ პროგრამის ბაღების კომპონენტის ფარგლებში არ არის დაფინანსებული ან/და მოთხოვნილი მრავალწლიანი ბაღის გაშენების დაფინანსება, ფიზიკური და იურიდიული პირის შემთხვევაში - არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1,250 ლარისა 0,5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1,500 ლარისა 0,5 ჰა-ზე. კომპონენტის ფარგლებში ფინანსდება ერთი ბენეფიციარის მიერ არაუმეტეს 50 ჰა წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნერგების დაფინანსების კომპონენტი (შემდგომში - ნერგების კომპონენტი) ითვალისწინებს ისეთი სტიქიების შედეგად, როგორიცაა სეტყვა, ქარიშხალი და წყალდიდობა მრავალწლოვანი კულტურების ბაღებში/პლანტაციებში/ვენახებში დაზიანებული ნერგების ჩანაცვლებას, პოტენციური ბენეფიციარებისათვის მრავალწლიანი კულტურების ნერგების ღირებულების დაფინანსების გზით.

- ✓ ნერგების კომპონენტის ფარგლებში ფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულება როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენის, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში. დადგენილია თითოეული ნერგის მაქსიმალური ღირებულება. ნერგების კომპონენტის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის ფინანსდება არაუმეტეს 50 ჰა-ზე დაზიანებული ნერგების ჩანაცვლება არაუმეტეს 250,000 ლარის ოდენობით.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, წინა წლებთან შედარებით, აქტიურად ვერ ხორციელდებოდა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბაღების მონახულება და ვიზიტები მუნიციპალიტეტებში.

დანერგე მომავალის კენკროვნების ქვეკომპონენტის პოტენციურ ბენეფიციარებს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის ორგანიზებით 1,000-ამდე პოტენციურ ბენეფიციარს ჩაუტარდათ ტრეინინგები, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- ✓ საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული განაცხადების (პროექტების) რაოდენობა - 1,253 (აქედან: ბაღის კომპონენტის ფარგლებში 450 განაცხადია დამტკიცებული; კენკროვნების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში 742 განაცხადია დამტკიცებული; სანერგეს კომპონენტის ფარგლებში 8 განაცხადია დამტკიცებული; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში 2 განაცხადია დამტკიცებული; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 8 განაცხადია დამტკიცებული; შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 1 განაცხადია დამტკიცებული; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 18 განაცხადია დამტკიცებული; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 24 განაცხადია დამტკიცებული.);
- ✓ საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული განაცხადების ჯამური ფართობი - 3,021 ჰა (აქედან: ბაღის კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული განაცხადების ჯამური ფართობი შეადგენს 2,414 ჰა-ს; კენკროვნების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში დამტკიცებული განაცხადების ჯამური ფართობი შეადგენს 287 ჰა-ს; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული განაცხადების ჯამური ფართობი შეადგენს 55 ჰა-ს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული განაცხადების ჯამური ფართობი შეადგენს 37 ჰა-ს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული განაცხადების ჯამური ფართობი შეადგენს 126 ჰა-ს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული განაცხადების ჯამური ფართობი შეადგენს 102 ჰა-ს.);
- ✓ საანგარიშო პერიოდში სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 32,649,055 ლარი (აქედან: ბაღის კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 18,856,381 ლარს; კენკროვნების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 9,882,366 ლარს; სანერგეს კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 2,783,869 ლარს; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 277,736 ლარს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 205,660 ლარს; შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 5,000 ლარს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 316,769 ლარს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში შეადგენს 321,275 ლარს.);
- ✓ საანგარიშო პერიოდში გაშენებული ბაღების ფართობი - 1,849 ჰა.

იმის მიუხედავად, რომ პროგრამა მე-6 წელია მიმდინარეობს, არ კლებულობს პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა, რაც შესაბამისად აისახება გაშენებული ბაღების

ფართობზე. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი მიმდინარეობდა გეგმიურად, დამატებით აქტივობები არ იყო დაგეგმილი გარდა არსებული პრაქტიკის გაგრძელებისა, რაც ნიშნავდა თვეში ერთხელ გაშენებული ბაღების შესახებ რეპორტაჟების მომზადება-გაშუქებას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დამატებით 2,200 ჰა-მდე ახალი ბაღის და ერთი სანერგე მეურნეობის გაშენება/დაკონტრაქტება. საანგარიშო პერიოდში გაშენდა/დაკონტრაქტდა 2,701 ჰა ფართობის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ტიპის ბაღი (აქედან, კენკროვნების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში გაშენდა/დაკონტრაქტდა 287 ჰა) და 8 სანერგე მეურნეობა.

2020 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 16,550,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 21,179,959 ლარი.

| ღონისძიება 4.4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 4.4.1: დანერგე მომავალი |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, გაშენდება/დაკონტრაქტდება 2,200 ჰა-მდე ახალი ბაღი და 1 სანერგე მეურნეობა | **შესრულებული:**<br>2020 წელს, გაშენდა/დაკონტრაქტდა 2,701 ჰა ფართობის ახალი ბაღი და 8 სანერგე მეურნეობა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 16,550,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 21,179,959 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 4.4.2:** მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის შესაბამის აგრო ვადებში აგრო ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება. ქვეყანაში მექანიზაციის ბაზის გაძლიერება. ამ მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს მოსავლის ამღები ტექნიკის 30% და 50%-ის ოდენობით თანადაფინანსებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსება საქართველოს ყველა რეგიონისათვის. პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად ჩატარდა ტრენინგები რეგიონში არსებული საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის. 2020 წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 74-მა ბენეფიციარმა. ქვეყანაში შემოვიდა 10 მილიონზე მეტი ღირებულების ახალი მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სპეც. ტექნიკა.

2020 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგებია:

- ✓ გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 74;
- ✓ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 73;
- ✓ სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 3,999,988 ლარი;
- ✓ ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 9,289,217 ლარი.

პროექტის განხორციელების პროცესის შეფერხების რისკს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისგან გამოწვეული შეზღუდვები.

ამ ხელისშემშლელი ფაქტორის შესამცირებლად, ხორციელდებოდა ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, რათა დაჩქარებულიყო პროექტების განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის პროცესი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 35 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები და სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 73 ბენეფიციარის თანადაფინანსება.

2020 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 4,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 3,487,809 ლარი.

| ღონისძიება 4.4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 4.4.2: მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, 35 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები და სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება | **შესრულებული:**<br>2020 წელს, განხორციელდა 73 ბენეფიციარის თანადაფინანსება |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 4,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 3,487,809 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 4.4.3:** აგროწარმოების ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის მიზანია ერთწლოვანი და მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოების ხელშეწყობა, სასოფლო - სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მექანიზაციის ბაზის გაძლიერება, დახურულ გრუნტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ხარისხის ზრდა, ღია გრუნტში ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ხარისხის ზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა სამ ეტაპად. წარმატებით ჩატარებული საინფორმაციო კამპანიიდან გამომდინარე მაღალი იყო მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან. წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 376 ბენეფიციარმა. ქვეყანაში შემოვიდა 11 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა არსებული მექანიზაციის ბაზა. სასათბურე მეურნეობების მიმართულებით განხორციელდა 7,5 მილიონამდე ინვესტიციები ძირითად საშუალებებში. რაც დადებითად აისახება ბოსტნეული კულტურების მოსავლის რაოდენობაზე და ხარისხზე.

2020 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგებია:

- ✓ გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 384;
- ✓ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 376;
- ✓ სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 9,651,127 ლარი;
- ✓ ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 20,171,540 ლარი.

პროგრამის განხორციელების პროცესის შეფერხების რისკს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისგან გამოწვეული შეზღუდვები. ამ ხელისშემშლელი ფაქტორის შესამცირებლად, ხორციელდებოდა ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, რათა დაჩქარებულიყო პროექტების განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის პროცესი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, სულ მცირე 350 ბენეფიციარს დაუფინანსდება ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა ან სასათბურო მეურნეობის მოწყობა ან სარწყავი სისტემების მოწყობა. საანგარიშო პერიოდში 376 ბენეფიციარს დაუფინანსდა ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა ან სასათბურო მეურნეობის მოწყობა ან სარწყავი სისტემების მოწყობა.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 10,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 9,223,957 ლარი.

<table>
<tr><td colspan="2">ამოცანა 1.1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია. დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით</td></tr>
<tr><td>აქტივობის ნომერი და სახელწოდება:</td><td>აქტივობა 4.4.3 აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა</td></tr>
<tr><td>პასუხისმგებელი უწყება:</td><td>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>2020 წელს, სულ მცირე 350 ბენეფიციარს დაუფინანსდება ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა ან სასათბურო მეურნეობის მოწყობა ან სარწყავი სისტემების მოწყობა</td><td>შესრულებული:<br>სულ მცირე 376 ბენეფიციარს დაუფინანსდა ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა ან სასათბურო მეურნეობის მოწყობა ან სარწყავი სისტემების მოწყობა</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: <u>10,000,000 ლარი</u></td><td>ფაქტობრივი: <u>9,223,957 ლარი</u></td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td>X</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

**აქტივობა 4.4.4:** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> სასოფლო-სამეურნოე პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2020 წელს, პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება სს „ლიბერთი ბანკთან“ და აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, ბანკმა უზრუნველყო პროექტის ბენეფიციარებისთვის შესაბამისი აგრო ბარათების დარიგება და სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისი აგრო-ქულების დარიცხვა პროგრამის ბენეფიციარებისათვის. აგრეთვე, გაფორმდა შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებები მაღაზიებთან, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის რეალიზაციას და რომელთაც სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული აქვს მუდმივ მოქმედი აღიარება და სადაც პროგრამის ბენეფიციარებს შეუძლით დარიცხული აგროქულებით სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენა.

გარდა ამისა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, 2020 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ხუთჯერ მოხდა განახლებული ბაზების გამოთხოვნა, რათა ბენეფიციარებს სრულყოფილად ესარგებლათ აღნიშნული პროგრამით.

2020 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგებია:

- ✓ სავაჭრო ობიექტების რაოდენობა (რაოდენობა მზარდია) – 446;
- ✓ ფერმერების რაოდენობა, რომელთა ბარათებზე დარიცხულია ქულები - 246,871;
- ✓ ბარათებზე უკვე დარიცხული სუბსიდიის ოდენობა (ლარი) - 31,911,070 ლარი;
- ✓ ფერმერთა რაოდენობა, რომლებმაც უკვე გამოიყენეს აგრობარათები - 139,817;
- ✓ უკვე ათვისებული სუბსიდიის ოდენობა (ლარი) - 27,890,044 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაფინანსდება სულ მცირე 300,000 ფერმერი (დაერიცხება სარგებელი). საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 246,871 ფერმერი.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 42,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 29,183,000 ლარი.

| ღონისძიება 4.4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 4.4.4: სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, დაფინანსებულია სულ მცირე 300,000 ფერმერი (დაერიცხება სარგებელი) | **შესრულებული:**<br>2020 წელს, დაფინანსებულია სულ 246,871 ფერმერი (დაერიცხა სარგებელი) |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 42,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 29,183,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## სტრატეგიული მიმართულება 5: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიმართულება სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა შედგება ერთი ღონისძიებისგან, რომელიც თავის მხრივ შედგება ერთი პროგრამისაგან. ღონისძიება ძირითადად მოიცავს სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგისათვის საჭირო აქტივობას.

### ღონისძიება 5.1 სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი

5.1 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ერთი პროგრამა - სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზი. ღონისძიების განხორციელება ცალკე დამტკიცებულ ბიუჯეტს არ საჭიროებდა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წელს**

- ⇒ **სასურსათო უსაფრთხოების ანგარიშის მომზადების პროცესი შესრულებულია 10%-ით**

**5.1 ღონისძიების განხორციელებაცალკე დამტკიცებულბიუჯეტს არ საჭიროებდა**

**პროგრამა 5.1.1** სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზი

პასუხისმგებელი უწყება: პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი

პროგრამის მიზანი: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

**განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის ამსახველი მონაცემების შეგროვება. შემუშავებულია სასურსათო უსაფრთხოების ანგარიშის სტრუქტურა. საერთო ჯამში, სასურსათო უსაფრთხოების ანგარიშის მომზადების პროცესი შესრულებულია 10%-ით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს დაგეგმილი იყო სასურსათო უსაფრთხოების ანგარიშის მომზადება და განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე. სასურსათო უსაფრთხოების ანგარიშის მომზადების პროცესი შესრულებულია 10%-ით. პროგრამის განხორციელება ცალკე დამტკიცებულბიუჯეტს არ საჭიროებდა.

| ღონისძიება 5.1. სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 5.1.1: სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზი |
| პასუხისმგებელი უწყება: | პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ყოველწლიურად მომზადდება სასურსათო უსაფრთხოების ანგარიში და განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე | **შესრულებული:**<br>სასურსათო უსაფრთხოების ანგარიშის მომზადების პროცესი შესრულებულია 10%-ით |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## სტრატეგიული მიმართულება 6: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა

სტრატეგიული მიმართულება სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა აერთიანებს 4 ღონისძიებას და ჯამურად 7 პროგრამას. ღონისძიებები მოიცავს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოებას საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით, ვეტერინარიას, მცენარეთა დაცვას და ფიტოსანიტარიულ კეთილსაიმედოობას, ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერებას და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოებას.

სტრატეგიული მიმართულების ჯამური საპროგნოზო ბიუჯეტი **32,905,000** ლარია. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია **27,020,700** ლარი.

### ღონისძიება 6.1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოება საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით

6.1 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ორი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ (SPS) ზომები საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) თანახმად და სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი.

6.1 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 1,150,000 ლარით განისაზღვრა.

**6.1 ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წელს**

- ⇒ სურსათის უვნებლობის სფეროში შემუშავდა ნორმატიული აქტების პროექტები 4 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ვეტერინარიის სფეროში - 6 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მცენარეთა დაცვის სფეროში - 10 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით
- ⇒ განხორციელდა 6,433 გეგმური ინსპექტირება; ჩატარდა 4,562 სურსათის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა

**6.1 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 1,150,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 771,000ლარი.**

- **პროგრამა 6.1.1:** სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ (SPS) ზომები საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) თანახმად

პასუხისმგებელი უწყება: სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტი; იურიდიული დეპარტამენტი; ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

პროგრამის მიზანი: ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული კანონმდებლობა სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში.

**განხორციელებული ღონისძიებები 2020 წლის ვალდებულებები და შესრულებული საქმიანობა**

*სურსათის უვნებლობა*

დამტკიცებულია:

✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №482 ,,საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ წესი“ (**Regulation (EC) No 1332/2008** of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on food enzymes and amending Council Directive 83/417/EEC, Council Regulation (EC) No 1493/1999, Directive 2000/13/EC, Council Directive 2001/112/EC and Regulation (EC) No 258/97);

✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №497 ,,ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ (**Regulation (EC) No 1334/2008** of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on flavourings and certain food ingredients with flavouring properties for use in and on foods and amending Council Regulation (EEC) No 1601/91, Regulations (EC) No 2232/96 and (EC) No 110/2008 and Directive 2000/13/EC და **COMMISSION REGULATION (EU) No 873/2012** of 1 October 2012 on transitional measures concerning the Union list of flavourings and source materials set out in Annex I to Regulation (EC) No 1334/2008 of the European Parliament and of the Council);

✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვალის დადგენილება №120 „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ( **Council Directive 78/142/EEC** of 30 January 1978 on the approximation of the laws of the Member States relating to materials and articles which contain vinyl chloride monomer and are intended to come into contact with foodstuffs);

✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 ოქტომბერის დადგენილება №606 „ტექნიკური რეგლამენტის – ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის, ტემპერატურის მონიტორინგის, სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის ერთიანი მეთოდების დამტკიცების შესახებ“ ( **Commission Directive 92/2/EEC** of 13 January 1992 laying down the sampling procedure and the Community method of analysis for the official control of the temperatures of quick-frozen foods intended for human consumption და **Council Directive 89/108/EEC** of 21 December 1988 on

the approximation of the laws of the Member States relating to quick-frozen foodstuffs for human consumption და **Commission Regulation (EC) No 37/2005** of 12 January 2005 on the monitoring of temperatures in the means of transport, warehousing and storage of quickfrozen foodstuffs intended for human consumption);

*ვეტერინარია*

დამტკიცებულია:

- ✓ „ცხოველის ზოგიერთი დაავადების კონტროლის ზოგადი ზომებისა და ღორის ვეზიკულარულ დაავადებასთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი „ - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ( **Council Directive 92/119/EEC** of 17 December 1992 introducing general Community measures for the control of certain animal diseases and specific measures relating to swine vesicular disease );
- ✓ „ტექნიკური რეგლამენტის – ღორის ვეზიკულური დაავადების დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის N747 დადგენილება ( **Commission Decision 2000/428/EC** of 4 July 2000 establishing diagnostic procedures, sampling methods and criteria for the evaluation of the results of laboratory tests for the confirmation and differential diagnosis of swine vesicular disease);
- ✓ განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების ცხოველის საკვების მიზნობრივი გამოყენების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N57 დადგენილება (**Commission Directive 2008/38/EC** of 5 March 2008 establishing a list of intended uses of animal feedingstuffs for particular nutritional purposes );
- ✓ „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N58 დადგენილება (Commission **Directive 82/475/EEC** of 23 June 1982 laying down the categories of ingredients which may be used for the purposes of labelling compound feedingstuffs for pet animals და **Regulation (EC) No 767/2009** of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on the placing on the market and use of feed);
- ✓ ცხოველის საკვების მასალის კატალოგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N 59 დადგენილება (**Commission Regulation (EU) No 68/2013** of 16 January 2013 on the Catalogue of feed materials);
- ✓ ცხოველის საკვების მასალას, ცხოველის საკვების დანამატს, ბიოციდურ პროდუქტსა და ვეტერინარულ პრეპარატს შორის სხვაობის დადგენის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები“ - **Commission Recommendation 2011/25/EU** of 14 January 2011 establishing guidelines for the distinction between feed materials, feed additives, biocidal products and veterinary medicinal products

*მცენარეთა დაცვა*

- ✓ ტექნიკური რეგლამენტი - კარტოფილის რწყილის სახეობების: Epitrix cucumeris (Harris), Epitrix papa sp. n.; Epitrix subcrinita (Lec.) და Epitrix tuberis (Gentner) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე. 2012 წლის 16 მაისის კომისიის 2012/270/EU დამწერგავი გადაწყვეტილება ეხება Epitrix cucumeris (Harris), Epitrix similaris (Gentner), Epitrix subcrinita (Lec.) და Epitrix tuberis (Gentner) ევროკავშირში შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ საგანგებო ღონისძიებებს (Commission Implementing **Decision 2012/270/EU** of 16 May 2012 as regards emergency measures to prevent the introduction into and

the spread within the Union of *Epitrix cucumeris* (Harris), *Epitrix similaris* (Gentner), *Epitrix subcrinita* (Lec.) and *Epitrix tuberis* (Gentner) )

- ✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება N630 ტექნიკური რეგლამენტი -ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზას Anoplophora chinensis (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე. 2012 წლის 1 მარტის კომისიის 2012/138/EU დამნერგავი გადაწყვეტილება ეხება ჩინური ხარაბუზას (Anoplophora chinensis (Foster)) ევროკავშირში შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ საგანგებო ღონისძიებებს (**Commission Implementing Decision 2012/138/EU** of 1 March 2012 as regards emergency measures to prevent the introduction into and the spread within the Union of *Anoplophora chinensis* (Forster) )
- ✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება N648 საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე. 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/57/EC დირექტივა ზეთოვანი და ბოჭკოვანი მცენარეების თესლით ვაჭრობის თაობაზე **(Council Directive 2002/57/EC** of 13 June 2002 on the marketing of seed of oil and fibre plants )
- ✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება N649 სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე. 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/56/EC დირექტივა კარტოფილის თესლით ვაჭრობის თაობაზე (**Council Directive 2002/56/EC** of 13 June 2002 on the marketing of seed potatoes )
- ✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 ნოემბრის N694 დადგენილება „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს №411 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ( 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/57/EC დირექტივა ზეთოვანი და ბოჭკოვანი მცენარეების თესლით ვაჭრობის თაობაზე **(Council Directive 2002/57/EC** of 13 June 2002 on the marketing of seed of oil and fibre plants ); 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/56/EC დირექტივა კარტოფილის თესლით ვაჭრობის თაობაზე ( **Council Directive 2002/56/EC** of 13 June 2002 on the marketing of seed potatoes )
- ✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ნოემბრის N695 დადგენილება „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლოსამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. კომისიის რეგულაცია **N217/2006 (**EC) ადგენს: ევროსაბჭოს N66/401, N66/402, 2002/54, 2002/55, 2002/57 დირექტივების გამოყენების წესებს წევრი ქვეყნებისთვის ავტორიზაციასთან დაკავშირებით, რათა დროებით დაუშვან იმ თესლით ვაჭრობა, რომელიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ აღმოცენებასთან დაკავშრებულ მოთხოვნებს (Commission **Regulation (EC) No 217/2006** of 8 February 2006 laying down rules for the application of Council Directives 66/401/EEC, 66/402/EEC, 2002/54/EC, 2002/55/EC and 2002/57/EC as regards the authorisation of Member States to permit temporarily the marketing of seed not satisfying the requirements in respect of the minimum germination )
- ✓ **საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ნოემბრის დადგენილება N712** სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის **№337 დადგენილებაში** ცვლილების შეტანის თაობაზე“. კომისიის რეგულაცია N217/2006 (EC) ადგენს: ევროსაბჭოს N66/401, N66/402, 2002/54, 2002/55, 2002/57 დირექტივების გამოყენების წესებს წევრი ქვეყნებისთვის

ავტორიზაციასთან დაკავშირებით, რათა დროებით დაუშვან იმ თესლით ვაჭრობა, რომელიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ აღმოცენებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს (Commission Regulation (EC) No 217/2006 of 8 February 2006 laying down rules for the application of Council Directives 66/401/EEC, 66/402/EEC, 2002/54/EC, 2002/55/EC and 2002/57/EC as regards the authorisation of Member States to permit temporarily the marketing of seed not satisfying the requirements in respect of the minimum germination )

**შემუშავებულია:**

✓ მთავრობაზეა ატვირთული და უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ". 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009/128/ დირექტივა, რომელიც ადგენს თანამეგობრობის მიერ გასატარებელი ღონისძიებების სტრუქტურას პესტიციდების სტაბილური მოხმარების მიღწევის (Directive 2009/128/EC of the European Parliament and of the Council of 21 October 2009 establishing a framework for Community action to achieve the sustainable use of pesticides)

✓მთავრობაზეა ატვირთული და უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილებაში №443 „ტექნიკური რეგლამენტის - საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე. ევროკომისიის 2013 წლის 1 მარტით დათარიღებული #284/2013 რეგულაცია (EU) განსაზღვრავს მცენარეთა დაცვის პრეპარატების მონაცემთა მოთხოვნებს, ბაზარზე მცენარეთა დაცვის პრეპარატების განთავსების შესახებ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს # 1107/2009 რეგულაციის (EC) შესაბამისად (Commission Regulation (EU) No 284/2013 of 1 March 2013 setting out the data requirements for plant protection products, in accordance with Regulation (EC) No 1107/2009 of the European Parliament and of the Council concerning the placing of plant protection products on the market)

✓ მთავრობაზეა ატვირთული და უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 2011 წლის 8 ივნისის ევროკომისიის (ევროკავშირი) No 547/2011 რეგულაცია,რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს განმახორციელებელი No1107/2009 რეგულაცია, რომელიც ეხება მცენარეთა დამცავი პროდუქტების მარკირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს (Commission Regulation (EU) No 547/2011 of 8 June 2011 implementing Regulation (EC) No 1107/2009 of the European Parliament and of the Council as regards labelling requirements for plant protection products)

**გაუქმდა საბჭოს გადაწყვეტილებით:**

Council **Decision 2003/17/EC** of 16 December 2002 on the equivalence of field inspections carried out in third countries on seed-producing crops and on the equivalence of seed produced in third countries)

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო სურსათის უვნებლობის სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება 7 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ვეტერინარიის სფეროში - 7 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით; მცენარეთა დაცვის სფეროში - 9 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საანგარიშო პერიოდში, სურსათის უვნებლობის სფეროში შემუშავდა ნორმატიული აქტების პროექტები 4 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ვეტერინარიის სფეროში - 6 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რადგან ერთი აქტი არარელევანტურად იქნა მიჩნეული); მცენარეთა დაცვის სფეროში - 10 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელება ცალკე დამტკიცებულ ბიუჯეტს არ საჭიროებდა.

<table>
<tr><th colspan="2">ღონისძიება 6.1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოება საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით</th></tr>
<tr><td>პროგრამის ნომერი და სახელწოდება</td><td>პროგრამა 6.1.1: სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ (SPS) ზომები საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) თანახმად</td></tr>
<tr><td>პასუხისმგებელი უწყება:</td><td>სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტი; იურიდიული დეპარტამენტი; ევროინტეგრაციის დეპარტამენტი</td></tr>
<tr><td>საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი</td><td>01.01.2019 – 31.12.2019</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>სურსათის უვნებლობის სფეროში შემუშავდება ნორმატიული აქტების პროექტები 7 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით;<br>ვეტერინარიის სფეროში - 7 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მცენარეთა დაცვის სფეროში - 9 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით</td><td>შესრულებული:<br>სურსათის უვნებლობის სფეროში შემუშავდა ნორმატიული აქტების პროექტები 4 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით;<br>ვეტერინარიის სფეროში - 6 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით);<br>მცენარეთა დაცვის სფეროში - 10 ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: -</td><td>ფაქტობრივი: -</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

- **პროგრამა 6.1.2:** სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

პროგრამის მიზანი: სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა; სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ ბიზნესოპერატორთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

სულ განხორციელდა:

- გეგმური ინსპექტირება - 6,433
- არაგეგმური ინსპექტირება - 699
- გადამოწმება - 6,784

ჩატარდა 4,478 დოკუმენტური შემოწმება; მონიტორინგის ფარგლებში ლაბორატორიული კვლევისთვის სათანადო წესით აღებულ იქნა 4,562 ნიმუში. განხორციელდა 4,478 დოკუმენტური შემოწმება. განხორციელდა 447 ზედამხედველობა;

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სულ გამოვლინდა 2,285 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო 7,000 გეგმური ინსპექტირების განხორციელება; 8,000 დოკუმენტური შემოწმების და 4,500 სურსათის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება. სააგენტოს მიერ განხორცილედა 6,433 გეგმური ინსპექტირება; 699 არაგეგმური ინსპექტირება; 6,784 გადამოწმება, 4,478 დოკუმენტური შემოწმება. აღებული იქნა 4,562 ნიმუში. გამოვლინდა 2,285 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილმა ბიუჯეტმა შეადგინა 1,150,000 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 771,000 ლარი.

| ღონისძიება 6.1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოება საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 6.1.2: სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>განხორციელდება 7,000 გეგმური ინსპექტირება; ჩატარდება 8,000 დოკუმენტური შემოწმება; ჩატარდება 4,500 სურსათის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა | **შესრულებული:**<br>განხორციელდა 6,433 გეგმური ინსპექტირება; ჩატარდება 4,478 დოკუმენტური შემოწმება; ჩატარდა 4,562 სურსათის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 1,150,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 771,000 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |

| შესრულების შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 6.2 ვეტერინარია

**6.2** ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჯამში ორი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციადა ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი.

**6.2** ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 9,850,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **პროფილაქტიკური ვაქცინაციების და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საორიენტაციო გეგმები შესრულდა 100%-ით, პოსტვაქცინალური დაჭიმულობის ხარისხი არის 70%-ზე მაღალი**
- ⇒ **განხორციელდა არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების არანაკლებ 50% გეგმიური ინსპექტირება; განხორციელდა ქვეყანაში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების არანაკლებ 15%-ის შეძენა და ლაბორატორიული კვლევა სახეობების მიხედვით; განხორციელდა ქვეყანაში აღიარებული საწარმოების არანაკლებ 90%-ის მიერ წარმოებული ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული საკვების ლაბორატორიული კვლევა სახეობების მიხედვით**

**6.2 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 9,850,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 9,296,000 ლარი**

- **პროგრამა 6.2.1:** ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

<u>პარტნიორი უწყება:</u> DTRA, USDA, FAO, CIB

<u>პროგრამის მიზანი:</u> განსაკუთრებით საშიშ დაავადებებზე სტაბილური ეპიზოოტიური კეთილსაიმედოოის მიღწევა, ცხოველებში და ადამიანებში ზოონოზური დაავადებების შემთხვევების შემცირება; მომხმარებლისათვის ცხოველური წარმოშობის უვნებელი სურსათის მიწოდების ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

**ვაქცინირებულია:**

- თურქულის პროფილაქტიკური ვაქცინაცია წინასწარი მონაცემებით ჩაუტარდა 878,802 სულ მსხვილფეხა და 1,269,137 სულ წვრილფეხა პირუტყვს;

- ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია წინასწარი მონაცემებით ჩაუტარდა 1,142,649 მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვსა და ცხენს ( მათ შორის: 441,107 სული მსხვილფეხა, 697,129 სული წვრილფეხა საქონელი და 4,413 სული ცხენი);
- ცოფის დაავადებაზე პროფილაქტიკური მიზნით, წინასწარი მონაცემებით ვაქცინირებულია 279,310 სული შინაური ხორცისმჭამელი ცხოველი (ძაღლი/კატა);
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ წინასწარი მონაცემებით ვაქცინაცია/რევაქცინაცია ჩაუტარდა 267,554 სულ წვრილფეხა პირუტყვს;
- ბრუცელოზის დაავადებასთან ბრძოლის გრძელვადიანი სრატეგიის მიხედვით ვაქცინირებულია 128,477 სული მსხვილფეხა და 82,219 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ნოდულარული დერმატიტის საწინაარმდეგოდ ვაქცინირებულია 380,249 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებულია 1,050 სული წვრილფეხა საქონელი;
- ტუბერკულოზზე გამოკვლეულია 10,100 სული მსხვილფეხა საქონელი.

**ჩატარდა შემდეგი სახის სერომონიტორინგი:**

- ბრუცელოზის პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 300 ნიმუში;
- ცოფზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა – 100 ნიმუში;
- თურქულის არასტრუქტურული პროტეინის (NSP ანტისხეული) აღმოჩენა – 4,000 ნიმუში;
- თურქულის სტრუქტურული პროტეინის (SP ანტისხეული) აღმოჩენა – სავარაუდოდ 500 ნიმუში;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის დაავადების/პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 100 ნიმუში;
- ცხვრის კატარალური ცხელება ანტისხეულის აღმოჩენა (მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის)-500 ნიმუში.

**დამუშავებულია:**

- ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) პუნქტებზე გარეგან პარაზიტებზე დამუშავებულია 801,307 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

მიმდინარე პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებულია: 408,416 სული მსხვილფეხა და 209,162 სული წვრილფეხა პირუტყვი და 3,091 ღორი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, სააგენტოს მიერ პროფილაქტიკური ვაქცინაცია შესრულებულია 84%-მდე, ხოლო იდენტიფიკაცია შესრულებულია 89%-მდე. პოსტვაქცინალური დაჭიმულობის ხარისხი არის 70%-ზე მაღალი. პროგრამის ინდიკატორი შესრულდა.

2020 წელს პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 9,650,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 9,147,000 ლარი.

| ღონისძიება 6.2. ვეტერინარია | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 6.2.1: ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>პროფილაქტიკური ვაქცინაციების და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საორიენტაციო | **შესრულებული:**<br>პროფილაქტიკური ვაქცინაციების და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის |

| | |
|---|---|
| გეგმები შესრულდება არანაკლებ 80%-ით, პოსტვაქცინალური დაჭიმულობის ხარისხი იქნება 70%-ზე მაღალი | საორიენტაციო გეგმები შესრულდა 100%-ით, პოსტვაქცინალური დაჭიმულობის ხარისხი არის 70%-ზე მაღალი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 9,650,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 9,147,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 6.2.2:** ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

პარტნიორი უწყება: USDA, CIB

პროგრამის მიზანი: ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა;ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების ბაზარზე განთავსება და მიმოქცევა; ბიზნესოპერატორების საქმიანობის გაუმჯობესება და მომხმარებლისათვის ცხოველური წარმოშობის უვნებელი სურსათის მიწოდების ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

- ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 188 (მ.შ. 1 არაგეგმური) ნიმუში.
- ვეტერინარიის სფეროში ბიზნესოპერატორების საქმიანობის ინსპექტირების მიზნით შემოწმებული იქნა 329 ობიექტი.
- კონტროლქვემდებარე ობიექტების შემოწმების მიზნით განხორციელდა 457 გეგმური ინსპექტირება
- შემოსული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა 25 არაგეგმიური ინსპექტირება.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაჯარიმდა 12 ბიზნესოპერატორი.
- განხორციელდა ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი 7 სამსახურის სარეგისტრაციო შემოწმება და განთავსდა შესაბამის რეესტრში
- აღიარების მიზნით განხორციელებული შემოწმების შედეგად 6 საწარმოს მიენიჭა აღიარება.
- ცოცხალ ცხოველებში აკრძალული ნივთიერებებისა და მათი ნარჩენების ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა 295 ცხოველიდან ბიოლოგიური სითხეებისა და ქსოვილების 790 ნიმუში
- შინაური ბინადარი ცხოველის ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული საკვების ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა 5 ნიმუში.

- წყალსა და თევზში აკრძალული ნივთიერებების (მალაქიტის მწვანეს და ლეიკომალაქიტის მწვანეს) გამოკვლევის მიზნით აღებული და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა წყლის 11 და თევზის 87 ნიმუში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო გეგმიური ინსპექტირების განხორციელება არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების არაუმეტეს 55%-სა; ასევე, ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ქვეყანაში რეგისტრირებული პრეპარატების არაუმეტეს 25%-ის შეძენა და ლაბორატორიული კვლევის განხორციელება. ინდიკატორები შესრულდა 100%-ით.

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 200,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 149,900 ლარი.

| ღონისძიება 6.2. ვეტერინარია | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 6.2.2: ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>განხორციელდება არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების არანაკლებ 50% გეგმიური ინსპექტირება; განხორციელდება ქვეყანაში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების არანაკლებ 15%-ის შეძენა და ლაბორატორიული კვლევა სახეობების მიხედვით; განხორციელდება ქვეყანაში აღიარებული საწარმოების არანაკლებ 90%-ის მიერ წარმოებული ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული საკვების ლაბორატორიული კვლევა სახეობების მიხედვით | **შესრულებული:**<br>განხორციელდა არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების არანაკლებ 50% გეგმიური ინსპექტირება; განხორციელდა ქვეყანაში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების არანაკლებ 15%-ის შეძენა და ლაბორატორიული კვლევა სახეობების მიხედვით; განხორციელდა ქვეყანაში აღიარებული საწარმოების არანაკლებ 90%-ის მიერ წარმოებული ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული საკვების ლაბორატორიული კვლევა სახეობების მიხედვით |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 200,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 149,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელე ბის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 6.3 მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა

**6.3** ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჯამში ორი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა და აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.

**6.3** ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 14,690,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე მწერების (კალიები, ამერიკული თეთრი პეპელა, ზზის ალურა) წინააღმდეგ დამუშავდება დაახლოებით 80.4 ათასი ჰა ფართობი;**
- ⇒ **ლაბორატორიული კვლევები ჩაუტარდება პესტიციდების 332 ნიმუშს (430 ანალიზი) და აგროქიმიტების 50 ნიმუშს (90 ანალიზი). საკარანტინო მავნე ორგანიზმების 1,724 ნიმუშს ჩაუტარდება ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;**
- ⇒ **აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდა 325.7 ათასი ჰექტარი ფართობი (2 ჯერადად).**

**6.3 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 14,690,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 10,790,000 ლარი**

- **პროგრამა 6.3.1:** მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

<u>პროგრამის მიზანი:</u> განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებისა და მოსავლის დანაკარგების თავიდან აცილება.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად განისაზღვრა არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალი და სააგენტოს ხელთარსებული სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა სალიკვიდაციო ღონისძიებები:

- აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში) კალიების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 80,352 ჰექტარი ფართობი.
- მდელოს ფარვანას წინააღმდეგ კახეთის რეგიონში დამუშავდა 3,900 ჰექტარი ფართობი
- საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა 1,961 ნიმუშს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

2020 წელს, დაგეგმილი იყო განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე მწერების (კალიები, ამერიკული თეთრი პეპელა, ზზის ალურა) წინააღმდეგ 75 ათასი ჰა ფართობის დამუშავება. ლაბორატორიული კვლევების ჩაუტარება პესტიციდების 330 ნიმუშზე (430 ანალიზი) და აგროქიმიტების 50 ნიმუშზე (90 ანალიზი); საკარანტინო მავნე ორგანიზმების 1,000 ნიმუშის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა. საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე მწერების (კალიები, ამერიკული თეთრი პეპელა, ზზის ალურა) წინააღმდეგ დამუშავდება დაახლოებით 80.4 ათასი ჰა ფართობი. ლაბორატორიული კვლევები

ჩაუტარდება პესტიციდების 332 ნიმუშს (430 ანალიზი) და აგროქიმიტების 50 ნიმუშს (90 ანალიზი). საკარანტინო მავნე ორგანიზმების 1,724 ნიმუშს ჩაუტარდება ლაბორატორიული დიაგნოსტიკა

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილმა ბიუჯეტმა შეადგინა 950,000 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 910,000 ლარი.

| ღონისძიება 6.3. მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 6.3.1: მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე მწერების (კალიები, ამერიკული თეთრი პეპელა, ბზის ალურა) წინააღმდეგ დამუშავდება დაახლოებით 75 ათასი ჰა ფართობი. ლაბორატორიული კვლევები ჩაუტარდება პესტიციდების 330 ნიმუშს (430 ანალიზი) და აგროქიმიტების 50 ნიმუშს (90 ანალიზი). საკარანტინო მავნე ორგანიზმების 1,000 ნიმუშს ჩაუტარდება ლაბორატორიული დიაგნოსტიკა | **შესრულებული:**<br>განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე მწერების (კალიები, ამერიკული თეთრი პეპელა, ბზის ალურა) წინააღმდეგ დამუშავდება დაახლოებით 80.4 ათასი ჰა ფართობი. ლაბორატორიული კვლევები ჩაუტარდება პესტიციდების 332 ნიმუშს (430 ანალიზი) და აგროქიმიტების 50 ნიმუშს (90 ანალიზი). საკარანტინო მავნე ორგანიზმების 1,724 ნიმუშს ჩაუტარდება ლაბორატორიული დიაგნოსტიკა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 950,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 910,000 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 6.3.2:** აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

პროგრამის მიზანი: აზიური ფაროსანას რიცხოვნობის შემცირება და კონტროლი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილება.აღმოსავლეთ საქართველოში მავნებლის გავრცელება-გამრავლების აღკვეთა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- აზიური ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებში ჩართული იყო 250-მდე ერთეული სპეც. ტექნიკა.
- ე.წ. „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურებზე განთავსდა - 107,000 მდე ფერომონი

- დამუშავდა 325,700 ჰა ფართობი; მ.შ.ცივი შესხურების ტექნოლოგიით - 94,700 ჰექტარი ფართობი; თერმული ნისლის ტექნოლოგიით - 231,000 ჰექტარი ფართობი;
- ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების წინააღმდეგ (კოღო) დამუშავდა 17,280 ჰექტარი ფართობი

**ინდიკატორებისდაბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო აზიური ფაროსანას წინააღმდეგ 250,000 ჰექტარი ფართობის (2 ჯერადად - ჯამში 500,000 ჰა) დამუშავება, საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ დამუშავებულია 325,700 ჰექტარი.

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 17,000,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 9,880,000 ლარი.

| ღონისძიება 6.3. მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 6.3.2: აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდება 250 ათასი ჰექტარი ფართობი (2 ჯერადად) | **შესრულებული:**<br>აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდა 325.7 ათასი ჰექტარი ფართობი (2 ჯერადად) |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 13,740,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 9,880,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 6.4 ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება

6.4 ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ერთი პროგრამა განხორციელდა, კერძოდ კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა.

6.4 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამის ბიუჯეტი 7,215,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **ლაბორატორიაში დაინერგა და აკრედიტაციის პროცესი გაიარა კვლევის 22 ახალმა მეთოდმა და 12 ახალმა პარამეტრმა**

**6.4 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 7,215,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ პროგრამის განხორციელებისთვის გახარჯულია 6,163,700 ლარი**

- **პროგრამა 6.4.1:** კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

პროგრამის მიზანი: სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელის მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის გავლა ISO 17025-ის მიხედვით (ვეტერინარია, სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა)

**განხორციელებული ღონისძიებები**

წარმატებით დასრულდა აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) მიერ ჩატარებული გეგმიური და დამატებითი სფეროს აკრედიტაციის პროცესი ISO 17025, რომლის შედეგად აკრედიტაციის სფეროს დაემატა:

ვეტერინარიაში - 1 ახალი მეთოდი (პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათიის/სკრეპის ანტიგენის აღმომჩენი იმუნოფერმენტული ანალიზი (ELISA);

სურსათის კვლევაში - 6 ახალი მეთოდი და 12 პარამეტრი (მათ შორის, რძესა და რძის პროდუქტებში სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის გამოვლენა; Salmonella spp. სუფთა კულტურის სახეობრივ სეროტიპერება Salmonella enteritidis, Salmonella typhimurium; წყლის საერთო შემცველობის განსაზღვრა გაყინულ ქათამში და ქათმის ცალკეულ ნაჭრებში; სიმსხოს განსაზღვრა ფქვილსა და ქატოში; აფლატოქსინი M1-ის განსაზღვრა რძეში მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის გამოყენებით; მაკროლიდების და თიამულინის განსაზღვრა თაფლში სითხურ ქრომატოგრაფთან შეუღლებული სამმაგ კვადრუპოლიანი მასსპექტრომეტრის (LC/MS/MS) საშუალებით, ასევე სპირამიცინის, თილმიკოზინის, თილოზინის, ერითრომიცინის, ჯოზამიცინისა და თიამულინის განსაზღვრა;

მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკაში - 15 ახალი მეთოდი (მათ შორის, ბაქტერიული კიბოს გამომწვევების - Agrobacterium tumefaciens-ის და Agrobacterium vitis-ის გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია; მოცვის დამწვრობის ვირუსის (BlScV) და თასმისებრი ვირუსის (BSSV) გამოვლენა; არაბისის მოზაიკური ვირუსის (ArMV) გამოვლენა; ცხენისა და ვირის ხორცის სახეობის იდენტიფიკაცია RT პჯრ მეთოდით; მარწყვის ფოთლის კუთხოვანი ლაქიანობის გამომწვევი ბაქტერიის - Xanthomonas fragariae-ს გამოვლენა, მორფოლოგიურ-ბიოქიმიური და პჯრ იდენტიფიკაცია და სხვა.).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, ISO 17025 სტანდარტის ფარგლებში, ISO 9001:2015 სერტიფიკატის საფუძველზე საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიაში დაინერგა 22 ახალი მეთოდი და 12 ახალი პარამეტრი, რომელთაგან აკრედიტაციის პროცესი

გაიარა 22 მეთოდმა და 12 პარამეტრმა, როდესაც დაგეგმილი იყო კვლევის 4 ახალი მეთოდის და 5 ახალი პარამეტრის დანერგვა და აკრედიტაცია.
2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტი 7,215,000 ლარია, წლის განმავლობაში ბიუჯეტი დაზუსტდა/დაკორექტირდა, რის შედეგადაც საბიუჯეტო სახსრები შემცირდა 100,000 ლარით, მიღებული 7,115,000 ლარიდან ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 6,163,700 ლარი.

| ღონისძიება 6.4.ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 6.4.1: კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, ISO 17025 სტანდარტის ფარგლებში, ISO 9001:2015 სერტიფიკატის საფუძველზე საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიაში დაინერგება და გაივლის აკრედიტაციის პროცესს კვლევის 4 ახალი მეთოდი და 5 ახალი პარამეტრი | **შესრულებული:**<br>2020 წელს, ISO 17025 სტანდარტის ფარგლებში, ISO 9001:2015 სერტიფიკატის საფუძველზე საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიაში დაინერგა და აკრედიტაციის პროცესი გაიარა კვლევის 22 ახალმა მეთოდმა და 12 ახალმა პარამეტრმა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 7,215,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 6,163,700 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## სტრატეგიული მიმართულება 7: კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

სტრატეგიული მიმართულება კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება აერთიანებს ორ ღონისძიებას და სამ პროგრამას. ღონისძიებები მოიცავს საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესებას და გენეტიკური ბანკის შექმნას, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნებას, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებას და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროგრამებს.

სტრატეგიული მიმართულების ჯამური საპროგნოზო ბიუჯეტი **13,740,000** ლარია. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია **10,606,700** ლარი.

## ღონისძიება 7.1 აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა

**7.1** ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ორი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა და ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება.

**7.1** ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 3,940,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **გამოიცა 19 სტატია; შემუშავდა 7 რეკომენდაცია;**
- ⇒ **გამოიცა 73 სტატია; შემუშავდა 21 რეკომენდაცია**

**7.1 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი 3,940,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ პროგრამების განხორციელებისთვის გახარჯულია 3,945,700 ლარი**

- **პროგრამა** 7.1.1 საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

<u>პროგრამის მიზანი:</u> საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კავკასიური წაბლა ჯიშის ნახირების ექსპედიციური კვლევა;
- განხორციელებულია ძროხის მეგრული წითელი ჯიშის ექსპედიციური კვლევა ხობის მუნიციპალიტეტის ს.ნახშირღელეს მეჯოგეების ნახირებში;
- სადედე გუნდის ფურებისათვის ჩატარდა ინდივიდუალური ბარათების მოწესრიგების სამუშაოები, სანაშენე ბარათები გახსნილია 54 ფურზე;
- ინდუსტრიული ჯიშების მოშენების და კვების საკითხებზე მომზადებულია 2 რეკომენდაცია;
- მომზადებულია ქართული მთის ჯიშის დაცვის და მოშენების რეკომენდაცია;
- აწონილია ქართული ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის მთლიანი სულადობა და შეტანილია სააღრიცხვო ჟურნალში;
- ჩატარდა ცხვრის ბონიტირება;
- მეგრული ჯიშის თხისგან მიღებული ნამატი აყვანილია შემოსავალში, გაუკეთდა ნიშანდება და დაფიქსირდა წონა;

- კახური ჯიშის ღორში მიღებულია 18 მოგება, გოჭების რაოდენობა 102 სული, განაყოფიერებულია 15 სული ნეზვი;
- განხორციელდა ჯავახური რუხი და ჭრელი ბატის და ხოხბის მოზარდის ზრდის დინამიკის შესწავლა;
- გრძელდება ადგილობრივი ქათმის, ჩალისფერი ინდაურის, კოლხური ხოხბის და ჭრელი იხვის მეკვერცხული პროდუქტიულობის და კვერცხის ფიზიკური მაჩვენებლების შესწავლა;
- მიღებულია პირველი თაობა თევზის (ფარიონის და სარკისებური კობრის) შეჯვარების შედეგად;
- დადგინდა ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები;
- სანაშენე ფუტკრის ოჯახებიდან გამოწურულ იქნა 230 კგ თაფლი (სულ 400 კგ);
- შედგენილია თაფლოვანი მცენარეების ყვავილობის კალენდარი;
- ჩატარდა თუთის აბრეშუმხვევიას 65 ჯიშის გრენის მიკროანალიზი, გაისინჯა ≈1500 ნიმუში.
- დამზადდა 63 წმინდა ჯიშის გრენა 1500 ცალის რაოდენობით და 100გ ჰიბრიდული გრენა;
- ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავების ფარგლებში აღრიცხულია მოსავალი, აღებულია ნიმუშები და ტარდება ბოტანიკური ანალიზი;
- დუშეთის მუნიცუპალიტეტში ჩატარდა ბრუცელოზზე კლინიკურ -ეპიზოოტოლოგიური კვლევები 150 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე;
- შემუშავებულია პირველადი მონაცემები სასმელი წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით და ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული ბიოინფორმატიული მოდელი აღნიშნული გზით წყლისმიერი ინფექციების აღმოცენების რისკის შეფასების მიზნებისთვის;
- შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოში სურსათის უვნებლობის, ცხოველთა და მცენარეთა სიჯანმრთელის რისკის შეფასების ადგილობრივ რეგულაციებზე და ინიცირების დოკუმენტებზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს დაგეგმილი იყო 11 სტატიის გამოცემა; 4 რეკომენდაციის შემუშავება. ფაქტიურად გამოცემულია 19 სტატია; გაცემულია 7 რეკომენდაცია.

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 400,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 404, 917 ლარი.

| ღონისძიება 7.2. აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 7.1.1: საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, გამოიცემა 11 სტატია;<br>შემუშავდება 4 რეკომენდაცია;. | **შესრულებული:**<br>2020 წელს, გამოცემულია 19 სტატია;<br>გაცემულია 7რეკომენდაცია. |

| ბიუჯეტი | |
|---|---|
| **საპროგნოზო:** 400,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 404, 917 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებis პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **პროგრამა 7.1.2:** ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

პროგრამის მიზანი: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- დამზადებულია ყურძნის 139 ჯიშის საკვლევი-სადეგუსტაციო ნიმუშები. სულ თეთრი ღვინო 1120 ბოთლი, წითელი ღვინო 990 ბოთლი.
- მევენახეობის მიკროზონების შესწავლის ფარგლებში დასრულდა წარაფების მიკროზონის შესწავლა (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარდენახი);
- სამეგრელოს რეგიონიდან ჩამოტანილი იქნა ყურძნის 11 ჯიში, სამცხე-ჯავახეთიდან 2 ჯიში, მოხდა აღნიშნული რეგიონებიდან ჩამოტანილი ჯიშების იდენტიფიცირება.
- შესაბამის საკვებ არეებზე სულ გამრავლდა კარტოფილის 1210 მცენარე, საიდანაც ადგილობრივი ჯიშია 180, ინტროდუცირებული 130, ხოლო CIP კლონები-900 მცენარე.
- თხილისა და სხვა კაკლოვნების დაავადებული ნიმუშებიდან გამოყოფილია სოკოების სუფთა კულტურები და ჩატარებულია მათი მიკოლოგიური ანალიზი;
- დაავადებათა გავრცელების ინტენსიობის მიხედვით გამოვლინებულია თხილის გამძლე ჯიშები.
- ზოგიერთი ჯიშის ვაზის ფოთლებზე პირველად საქართველოში გამოვლენილი იქნა სოკო ალტერნარია (15-20%), როგორც პირველადი პათოგენი;
- დამუშავდა ქართული ნეკერჩხლის ლოკაციები, მომზადდა რუკა
- ქარსაფრების მოწყობასთან დაკავშირებით გაიცა ონლაინ-რეკომენდაციები
- საკოლექციო ნარგაობა შეივსო წითელ ნუსხაში შეტანილი ტყის მერქნიანი 3 ახალი სახეობით;
- დედოფლისწყაროში აღებულია ხორბლის, ქერის და შვრიის 1286კგ, თელავში-2245კგ., ახმეტაში-1631კგ., წილკანში-1369კგ., ვალეში-2635კგ., ვაჩიანში-2712კგ., ადიგენში-1255კგ., გურჯაანში- 910კგ; მათგან გამორჩეულია 120-მდე პერსპექტიული ფორმა;
- ბიოპრეპარატებით დამუშავებული თესლი დაითესა კასეტებში (ბროკოლი, წიწაკა, რეჰანი, პრასი);
- საცდელ ვარიანტებში ერთჯერადად შეტანილია 30-მდე ბიოპრეპარატი;
- დამუშავდა თესლბრუნვების, სიდერატების და ბიოპრეპარატების კომპლექსური გამოყენებით მიღებული შედეგების მონაცემები

- მძიმედ სასხლავი მანქანის ცალკეული მოწყობილობები დააგრეგატებული იქნა მაღალკლირენსიან თვითმავალ შასზე და საველე გამოცდების ჩატარების მიზნით გადატანილი იქნა "ცენტრის" ანასეულის ბაზაზე.
- ვაზის სხვადასხვა ჯიშის საექსტრაქციო მასალიდან მოხდა დნმ-ის 30 ჯიშის ექსტრაქცია; ჩატარდა PCR რეაქციები ვაზის მიკროსატელიტური დნმ-ის მარკერების (9 მარკერი) გამოყენებით ვაზის 25 სინჯზე. მივიღეთ 90 სინჯი PCR პროდუქტი;
- გაშენდა ადგილობრივი 80 ჯიშის ხეხილის კოლექცია (ჯიღაურა);
- დაიმყნო ხეხილის 1000- მდე ადგილობრივი ჯიში საკოლექციო ნარგაობისთვის;
- ჩატარებულია ხეხილის საგაზაფხულო გასხვლა UFO-ს და ესპანური ბუჩქის მეთოდოლოგიით;
- ანასეულის ბაზაზე საკოლექციო ბაღში დაირგო ჩინური გოჯიბერი; ასევე ნარგაობა შეივსო თხილის ოთხი ფორმით და მუშმულას პერსპექტიული ფორმებით.
- ფენოლოგიური დაკვირვება მიმდინარეობდა ციტრუსოვნების სხვადასხვა ჯიშებსა და ფორმებზე და ფეიჰოას ნარგავებზე. სასათბურე პირობებში მოეწყო ჩაის ჯიში კოლხიდას მასიური დაკალმება. (30000 ცალი);
- განხორციელდა ვიზიტი 14 სანერგე მეურნეობაში. კვალიფიციურობა მიენიჭა 5 სანერგე მეურნეობას;
- კატალოგში შევიდა ხორბლის სამი ჯიში (ამანდუსი, ბალიტუსი და შავფხა);
- კატალოგში შევიდა ვაზის 12 ადგილობრივი ჯიში
- დათესილია მუხუდოსა და ოსპის ფორმები, დარგულია შემოდგომო ხახვი და ნიორი
- თავთავიანი კულტურების საშემოდგომო თესვა ჩატარდა დედოფლისწყაროში, თელავში, წილკანში, ახალქალაქში

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, დაგეგმილი იყო 51 სტატიის გამოცემა და 29 რეკომენდაციის შემუშავება. ფაქტიურად გამოიცა 73 სტატია და შემუშავდა 21 რეკომენდაცია.

2020 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 3,540,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 3,540,773 ლარი.

| ღონისძიება 7.2. აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 7.1.2: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2020 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს, გამოიცემა 51 სტატია,<br>შემუშავდება 29 რეკომენდაცია | **შესრულებული:**<br>2020 წელს, გამოიცა 73 სტატია,<br>შემუშავდა 21 რეკომენდაცია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 3,540,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 3,540,773 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ღონისძიება 7.2 კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა

**7.2** ღონისძიების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ერთი პროგრამა განხორციელდა, კერძოდ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზარზე წვდომა და მდგრადობა.

**7.2** ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 9,800,000 ლარით განისაზღვრა.

**ღონისძიების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრამის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში**

- ⇒ **გაუმჯობესდა სარწყავი წყლის მიწოდება 316 ჰექტარზე (1 ობიექტი);**
- ⇒ **გაიცა 138 გრანტი პირველადი წარმოებისთვის;**
- ⇒ **პრაქტიკული და თეორიული სწავლებას გაიარა 132 ფერმერმა**

**7.2 ღონისძიების შესრულების მიზნით დაგეგმილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 9,800,000 ლარია. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ პროგრამის განხორციელებისთვის გახარჯულია 6,661,000 ლარი**

- **პროგრამა 7.2.1:** სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზარზე წვდომა და მდგრადობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
<u>პარტნიორი ორგანიზაცია:</u> სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

<u>პროგრამის მიზანი:</u> კლიმატზე ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობის გზით ფერმერების, ფერმერთა ჯგუფების და აგრობიზნესის შემოსავლების ზრდა და შედეგად, ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

**I კომპონენტი**

1. <u>ირიგაცია</u>

- ✓ დასრულდა ქვემო ალაზანის სარწყავი სისტემის (კახეთი, გურჯაანი) გ-32 და გ-35 გამანაწილებელი არხისა და მისი სხვა რიგის გამანაწილებლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. შედეგად, სარწყავ ფართობში გადავიდა 1332 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა.
- ✓ დასრულდა სალთვისის სარწყავი სისტემის (შიდა ქართლი, გორი) გამანაწილებლების (ალტერნეტიული და ძლევიჯვარის არხები) და შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სარწყავ ფართობში გადავიდა 1215 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა.
- ✓ მიმდინარეობს ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3-2-1 გამანაწილებლის (გორის მუნიციპალიტეტი) შიდა ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები. ობიექტის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის თებერვალში.
- ✓ დასრულდა ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებლის (გორის მუნიციპალიტეტი) შიდა ქსელის რეაბილიტაცია.
- ✓ დასრულდა იაკუბლოს (ქვემო ქართლი, დმანისი) წყალსაცავის რეაბილიტაცია. წყალსაცავი სარწყავი წყლით უზრუნველყოფს ოთხ საირიგაციო არხს.

2. <u>საგრანტო კომპონენტის მიმართულებით</u>

- ✓ გაცემულია თანადაფინანსებაზე დაფუძნებული 140 გრანტი, 138 პირველადი წარმოებისთვის (მათ შორის 18 ქალი, 2 კოოპერატივი და 2 საწარმო), მეორე ფანჯრის ფარგლებში, დაფინანსდა ორი გადამამუშავებელი საწარმო.

II კომპონენტი

3. <u>სადემონსტრაციო ნაკვეთები და სწავლება</u>

- ✓ პროექტის ფარგლებში მოწყობილ 17 სადემონსტრაციო ნაკვეთებზე, თეორიული და პრაქტიკული სწავლება გაიარა 132 ფერმერმა (მათ შორის 53 ქალმა ფერმერმა).

4. <u>საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის ხელშეწყობა</u>

- ✓ მომზადდა „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი და გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მერნეობის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს.
- ✓ მიმდინარეობს პროექტის საბოლოო შედეგების (Impact Survey) კვლევა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს დაგეგმილი იყო: საირიგაციო არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად 650 ჰექტრის გასარწყავიანება; მიწის აღდგენითი სამუშაოების 4 ობიექტზე ჩატარება; პირველადი წარმოებისთვის 50 მცირე გრანტის გაცემა; 80 ფერმერის თეორიული და პრაქტიკული სწავლება.

საანგარიშო პერიოდში, სარწყავის წყლის მიწოდება გაუმჯობესდა 316 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე; მიწის აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებულა; გაიცა 138 გრანტი პირველადი წარმოებისთვის; გადამზადდა 132 ფერმერი (მათ შორის 53 ქალი).

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 9,800,000 ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 6,661,000 ლარი.

| ღონისძიება 7.2 კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 7.2.1 სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზარზე წვდომა და მდგრადობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| პარტნიორი ორგანიზაცია: | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2020 წელს გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება 650 ჰექტარზე;<br>ჩატარდება მიწის აღდგენითი სამუშაოები 4 ობიექტზე;<br>გადამზადდება 80 ფერმერი;<br>გაიცემა 50-მდე გრანტი პირველადი წარმოებისთვის. | **შესრულებული:**<br>2020 წელს გაუმჯობესდა სარწყავი წყლის მიწოდება 316 ჰექტარზე;<br>მიწის აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებულა;<br><br>გადამზადდა 132 ფერმერი, მათ შორის 53 ქალი;<br>გაიცა 138 გრანტი პირველადი წარმოებისთვის. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 9,800,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 6,661,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |